ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 18 ივლისი, 2016 №168 (7094) ფასი: 50 თეთრი

თემურ ბათირაშვილი: „თარხანი აიძულეს, აქედან წასულიყო“

გვ.6



„ერდოღანთან ერთად საქართველოც გადარჩა“

თურქეთი ცეცხლის ალში გვ.2

ერდოღანი გიულენის გადაცემას ითხოვს გვ.8

გიულენი: „პუტჩი თავად ერდოღანმა მოაწყო“

ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთსა და თურქეთს დაშლა ემუქრება“ გვ.3

არეულობა სომხეთში

გვ.4 შეიარაღებული ოპოზიცია ერევნის პოლიციის შენობაში შეიჭრა



ზრდიან თუ არა ბათუმის ლიცეუმში ბავშვებს ტერორისტებად

გვ.4 თურქეთის კონსული ლიცეუმის დახურვას მოითხოვს

ნოდარ ნათაძე: „საქართველოში სამოქალაქო ომის საფრთხე არსებობს“ გვ.7

ISSN 1987-9385



შალვა ხაჭაპურიძე: „თუ ხელისუფლებას ჰგონია, რომ სასამართლოს მართავს, ძალიან ცდება“ გვ.5

ლევან ალაფიშვილი: „სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღა პარლამენტმა ჩაგდო“ გვ.5

თურქეთი ცეცხლის ალში

სოსო ზაალიშვილი

თურქეთის რესპუბლიკაში სამხედრო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა მსოფლიო მასმედიის, პოლიტიკური წრეებისა თუ დაინტერესებული საზოგადოების ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

ამას თავისი საფუძველი გააჩნია. თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, თურქეთის არმიის სახმელეთო დაჯგუფება ნატოს წევრ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია, ამ ქვეყნის სამხედრო პოტენციალის აღმშენებლობისთვის აშშ-მ და მისმა პარტნიორებმა უზარმაზარი თანხა გაიღეს. ქვეყნის სამხედრო ინდუსტრია მაღალ დონეზეა განვითარებული, საშუალო და მაღალი რანგის ოფიცრებს განათლება ევროპისა და აშშ-ის სამხედრო სასწავლებლებში აქვთ მიღებული. თურქეთს საკუთარი სამხედრო სასწავლებლები გააჩნია, სადაც ნატოს გზას შემდგარი ქვეყნების სამხედროები გადიან მომზადებას.

თურქეთში განლაგებული პატრიოტის ტიპის საჰაერო თავდაცვის სისტემა, ისევე, როგორც ამერიკულ-თურქული სამხედრო საჰაერო ძალების ბაზა ინჯირლიკი, ნატოს ერთობლივი სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის შემადგენელი ნაწილი გახლავთ.

◆ ◆ ◆

2003 წელს რეჯებ ერდოღანის სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ თურქეთში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა. 14 მარტს ერდოღანმა თურქეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. ამავე წლის 20 მარტს საერთაშორისო კოალიციამ აშშ-ის თაოსნობით ერაყში სადამ ჰუსეინის ხელისუფლებიდან ჩამოშორების ოპერაცია წამოიწყო. მსოფლიო მედიამ შენიშნა ის ფაქტი, რომ თურქეთის ახალი პრემიერის მეუღლე პარლამენტში ისლამური თავსაბურავით შევიდა, თუმცა ერდოღანის ხელისუფლებისათვის ამას მნიშვნელოვანი ზიანი არ მოუტანია.

საქართველოში ვარდების რევოლუციაც ამავე წელს მოხდა. ორიოდე წელიწადში, 2005 წელს, ირანის პრეზიდენტად ექსცენტრული, მსოფლიო სიონიზმთან და აშშ-ის იმპერიალიზმთან მებრძოლი მაჰმუდ აჰმედინეჯადი აირჩიეს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების დაპირისპირება ალ-ქაედასთან ავღანეთში და სადამ ჰუსეინის მომხრეებთან ერაყში განგრძობად ფაზაში შევიდა.

ერდოღანი და მისი ხელისუფლება, საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმედ დავითოღლუსთან ერთად, აგრძელებდა მუშაობას, თურქეთი რჩებოდა ნატოსა და ისრაელის სტრატეგიულ პარტნიორად, ნელი, პატარ-პატარა ნაბიჯებით, ერთი მხრივ, თურქეთი ევროკავშირისკენ მიდიოდა, მეორე მხრივ კი ისლამური სამყაროს ლიდერობისათვის ემზადებოდა.

და მაინც, როდის დაიწყო თურქეთის ისლამიზაციის პროცესი?

ეს კითხვა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან თურქეთი საქართველოს მეზობელი, სტრატეგიული პარტნიორი და ერთგვარი გზამკვლევია ნატოსკენ მიმავალ რთულ და ეკლიან გზაზე.

გავიხსენოთ თუნდაც საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის შეხვედრები თურქეთისა და აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრებთან.

– თურქეთის თავდაცვის მინისტრთან ვისაუბრეთ ნატოს თავდაცვის მინისტერიალზე, მომავალ გეგმებზე. თურქეთი ის ქვეყანაა, რომელიც უპირობოდ, რამე დათქმის გარეშე უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციას ნატოში.

ვისაუბრეთ კომუნიკაციის გამარტივების ფორმებზე, იმისთვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გავცვალოთ ინფორმაცია. ამ მხრივ გვაქვს კონკრეტული წინადადებები. მრავალი ღონისძიებაა დაგეგმილი, მათი ნაწილი წლის ბოლომდე საქართველოში განხორციელდება, ნაწილი ანკარაში, ნაწილი – ბაქოში. დარწმუნებული ვარ, ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, მინისტრს წლის ბოლომდე ვუმასპინძლოთ საქართველოში, – აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

ისრაელში ამ ქვეყნის მე-16 პრემიერ-მინისტრ ეჰუდ ოლმერტის (2006-2008) გუნდის წარმომადგენელი დავით ეიდელმანი გავიცანი. ის პრემიერის მრჩეველთა გუნდში იყო და რუსულენოვან პრესასთან ურთიერთობას კურირებდა.

2012 წელი იყო, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ახლოვდებოდა და მაინტერესებდა, როგორ მუშაობდნენ პოლიტტექნოლოგები ისრაელში. საუბრისას დავითმა ასეთი ისტორია მომიყვა: 2007 წელს ოლმერტმა მრჩევლები გამოიძახა. მათ უნდა მოეწვიათ პრესკონფერენცია, სადაც პრემიერ-მინისტრი განცხადებას გააკეთებდა, მაგრამ ჟურნალისტებს არ უნდა ჰქონოდათ საშუალება, დაესვათ კითხვები, რადგან საქმე ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას ეხებოდა და ნებისმიერი ზედმეტი კითხვა ომის დაწყების მიზეზი შეიძლება გამხდარიყო.

პოლიტტექნოლოგებმა შეასრულეს დავალება, სახელდახელოდ გაუკეთეს ორგანიზება პრემიერის შეხვედრას პენსიონერებთან, ისინი დარბაზის წინა რიგებში დასვეს, უკან კი მოწვეული ჟურნალისტები დააყენეს.

ეჰუდ ოლმერტმა ამ შეხვედრაზე თქვა, რომ უცნობი ქვეყნის რამდენიმე თვითმფრინავი შეფრინდა ისრაელის მოსაზღვრე ქვეყნის, სირიის, ტერიტორიაზე, დაბომბა და გაანადგურა იქ არსებული ბირთვული რეაქტორი და დატოვა სირიის ტერიტორია. ჟურნალისტებმა კითხვის დასმა ვერ მოახერხეს.

რამდენიმე ხანში დაინიშნა მეორე პრესკონფერენცია, რომელზეც ისრაელის პრემიერმა ბოდიში მოუხადა თურქეთის ხელისუფლებას და პრემიერ ერდოღანს იმის გამო, რომ სირიიდან თურქეთის საჰაერო სივრცეში შესულმა რამდენიმე ამოუცნობმა თვითმფრინავმა საწვავის ავზები ჩამოყარა თურქეთის ტერიტორიაზე, რითიც ზიანი მიაყენა თურქეთის მოქალაქეებს.

ეს ფაქტი იმიტომ მოვიყვანე, რომ მკითხველისთვის გასაგები გახდეს – 2007 წელს, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მეჩეთებში უკვე დაშვებული იყო ნამაზის აღსრულება, ერდოღანს უკვე ჰქონდა ამბიციები, გამხდარიყო ისლამური სამყაროს ჰეგემონი.

შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ირანის მაშინდელი ხელისუფლება, პრეზიდენტ აჰმედინეჯადის ხელმძღვანელობით, ღია ანტითურქული პოზიციით გამოირჩეოდა. სანქციადადებული ირანი, რომელიც ბირთვული იარაღის შექმნით იყო დაკავებული, თურქეთისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

◆ ◆ ◆

თურქეთში ისლამური ფუნდამენტალიზმის გამოღვიძებისა და თურქეთის ისლამიზაციის პროცესის საწყისად ალბათ ახლო აღმოსავლეთში 2008 წლის შემდეგ დაწყებული პროცესი, არაბული გაზაფხული უნდა მივიჩნიოთ.

ამ პერიოდიდან თურქეთში ისლამური სამყაროს სხვადასხვა ქვეყნიდან ათობით ათასი მუსლიმი ჩავიდა, რომელთაც სურვილი ჰქონდათ, შეერთებოდნენ საღვთო ომს, ჯიჰადს, რომელიც მთელი ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო აფრიკის ტერიტორიაზე დაიწყო.

დიქტატორებისა და ავტორიტარული რეჟიმების დამხობის, შემდეგ კი ამ ტერიტორიებზე შარიათის კანონების გავრცელების მსურველთა ძირითადი ნაწილი სწორედ თურქეთის გავლით ხვდებოდა ეგვიპტესა თუ ტუნისში, სირიასა თუ ერაყში.

ამავდროულად, საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმედ დავითოღლუს მუშაობის შედეგად თურქეთის ხელისუფლებამ კონტაქტები დაამყარა ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასი (რომელიც ღაზის სექტორში მოქმედებს), ეგვიპტური მუსლიმანთა საძმო და მათი ხელმძღვანელობა (ეგვიპტე), ჯაბჰატ ან-ნუსრა (სირია).

საქმე იქამდეც მივიდა, რომ ერდოღანის ხელისუფლებამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ეგვიპტესთან, როდესაც ამ ქვეყანაში სამხედროებმა ისლამური დიქტატურა დაამხეს და ხელისუფლებაში გენერალი ალ-სისი მოვიდა. ერდოღანი ერთადერთი ლიდერი გახლდათ, რომელმაც დაგმო გადატრიალება ეგვიპტეში და მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას, ყველაფერი გაეკეთებინა, რათა ხელისუფლება კვლავ ხალხის მიერ არჩეულ მუსლიმანთა საძმოს წარმომადგენელ მუჰამედ მურსის დაბრუნებოდა.

თურქეთმა გაწყვიტა დიპლომატიური კავშირი ისრაელთან. თურქეთი ღიად უჭერდა მხარს ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებს ქურთებისა და ბაშარ ალ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მიუხედავად ყველაფერ ამისა, აშშ და მისი პარტნიორები თვალს ხუჭავდნენ ამაზე, რადგან დერეფანი, რომელიც თურქეთმა მოჯაჰედებისთვის გახსნა, აუცილებელი იყო სირიასა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ავტორიტარული რეჟიმების დასამხობად.

მოჯაჰედების უკონტროლო რაოდენობამ, სხვადასხვა ისლამური „ჰუმანიტარული“ ორგანიზაციის მომრავლებამ, ტერორისტული ორგანიზაციების შტაბბინების თავმოყრამ თურქეთის ტერიტორიაზე დაღი დაასვა ამ ქვეყნის ხელისუფლების პოზიციასაც. ერდოღანს მოუწია, წასულიყო ჯიჰადისტებთან კომპრომისზე.

ამავდროულად, თურქეთი არ იშურებდა ძალას, რათა დაახლოებოდა ევროკავშირს, მაგრამ ახლა უკვე საკუთარი პირობებით. ევროკავშირის ქვეყნებმა საფრთხე იგრძნეს და მიანიშნეს თურქეთს, რომ ასეთი სახით თურქეთი ევროკავშირის წევრი ვერ გახდებოდა.

ასე ჩამოყალიბდა თურქეთში ისლამური ტიპის საზოგადოება და ქემალ ათათურქის მიერ შექმნილი რესპუბლიკისგან მხოლოდ მისი სახელობის აეროპორტი შემორჩა.

◆ ◆ ◆

მას შემდეგ, რაც ერდოღანის გუნდში განხეთქილება მოხდა, თურქეთის პრეზიდენტი იძულებული გახდა, ახალი მოკავშირეები მოეძებნა. საერთაშორისო ურთიერთობებში ერდოღანი არაა ძლიერი. მისი მთავარი დასაყრდენი და პარტნიორი აჰმედ დავითოღლუ გახლდათ. მარტო დარჩენილი ერდოღანი იძულებული გახდა, შერიგებოდა ეგვიპტეს, რუსეთსა და ისრაელს, უარი ეთქვა თავის პარტნიორებზე ჰამასზე, მუსლიმან ძმებზე და სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებზე.

ერდოღანის ასეთ გადაწყვეტილებას მყისიერი პასუხი მოჰყვა – ათათურქის აეროპორტში მომხდარი ტერაქტი ისლამურმა სახელმწიფომ აიღო თავის თავზე.

◆ ◆ ◆

15 ივლისს თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების ჩაშლის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის განვითარება ძნელად პროგნოზირებადია.

ამას რამდენიმე მიზეზი გააჩნია.

ერდოღანის გუნდში არაა ერთიანობა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედროთა ნაწილი ერდოღანს უჭერს მხარს. ერდოღანს ქვეყანაში ჰყავს ლიბერალური ოპოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება თურქეთის ისლამიზაციის პროცესს, რაც ერდოღანისთვის ახლა უკვე ხელისუფლების შენარჩუნების ერთადერთი გზაა. მაგრამ თურქეთის ისლამიზაციისა და ისლამური სამყაროს ჰეგემონად ქცევის იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი აჰმედ დავითოღლუ გახლავთ, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე არ ჩანს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, უცებ გამოჩნდეს კიდეც და უფრო მეტი სიფრთხილით, როგორც დიპლომატს სჩვევია, გააკეთოს ის, რასაც ერდოღანი ცეცხლითა და მახვილით აკეთებს.

გასათვალისწინებელია აშშ-ში მცხოვრები ფეთჰულა გიულენის ფაქტორიც, რომელსაც ერდოღანის ხელისუფლება ბრალად სდებს ამ გადატრიალების ორგანიზების მცდელობას. ჯერჯერობით ასეთი კავშირი არ დასტურდება. ერდოღანმა მისი თურქეთისთვის გადმოცემა მოითხოვა, მაგრამ ეს უფრო ოპოზიციონერი პოლიტიკოსის გზიდან ჩამოშორებას ჰგავს.

დღეისთვის თურქეთში 2 მილიონამდე დევნილია ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნიდან. მოქმედებენ ისლამური სახელმწიფოსა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჯგუფები. ამ ჯგუფების ნაწილი ერდოღანის მომხრეა, მეორე ნაწილი კი მის მოწინააღმდეგეებს უჭერს მხარს. მათ არ ესიამოვნათ ერდოღანის დაახლოება ეგვიპტესთან, რუსეთთან და ისრაელთან.

ერთ რამეში ერდოღანი მართალია – თურქეთი ბოლო დრომდე წარმოადგენდა ქვეყანას, რომელიც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე არაბული გაზაფხულის პროცესში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის კურსის გამტარებელი იყო. ახლა კი მან ეს კურსი შეცვალა. აქედან გამომდინარე, ობამას ადმინისტრაციისთვის ერდოღანი აღარაა მოკავშირე.

სწორედ ამ აზრიდან გამომდინარე აბრალებს თურქეთის პრეზიდენტი აშშ-ს სამხედრო გადატრიალების მოწყობის მხარდაჭერას.

ობამას ადმინისტრაციისთვის ახლა მისაღები უფრო დავითოღლუა, ვიდრე ერდოღანი. შესაძლოა, თურქეთში პროცესები კიდევ უფრო გამწვავდეს და საქმე ხელისუფლების სხვა ფორმით ცვლილებამდეც მივიდეს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ერდოღანთან ერთად საქართველოც გადარჩა“

შორენა მარსაგიშვილი

ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთსა და თურქეთს დაშლა ემუქრება“

აპირებს თუ არა სირიის კონფლიქტის გადმოტანას რუსეთი სამხრეთ კავკასიაში, რას გადაურჩა 16 ივლისს საქართველო, რას უნდა ველოდოთ თურქეთიდან? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

– რამდენიმე დღის წინ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ განაცხადა, რომ სირიის მოვლენებმა შესაძლოა სამხრეთ კავკასიაში გადმოინაცვლოს და იქვე დაამატა, რომ რუსეთი ამ პროცესებში აუცილებლად ჩაერევა. არის იმის ალბათობა, რომ აქაც მოხდეს იგივე, რაც სირიაში ხდება?

– ამის ალბათობა საკმაოდ მაღალია. ჩვენი პოლიტიკოსები 1990-იანი წლებიდან მოყოლებული მხოლოდ შედეგებზე საუბრობენ და მის გამომწვევ მიზეზებს არასდროს აქცევენ ყურადღებას. რაც 15-16 ივლისის ღამეს მოხდა თურქეთში, ეს იყო შედეგი და მას ჰქონდა გამომწვევი მიზეზები. რასაც ამბობს შოიგუ, ესეც იქნება შედეგები, რომელსაც ასევე აქვს მიზეზები.

სირიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა რუსეთის, თურქეთის, დასავლეთის, შიიტური ირანისა და ისლამური სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესები. ამ ინტერესთა კონფლიქტს შეეწირა უდიდესი სახელმწიფო სირია, რომელიც ალბათ ვერასდროს აღდგება იმ საზღვრებში, რაც კონფლიქტამდე იყო.

სამხრეთ კავკასიაშიც ბევრი მოთამაშის ინტერესი იკვეთება. მოსკოვს მისი დათმობა არ სურს და ყველაფერს გააკეთებს, რომ აქ გავლენები შეინარჩუნოს.

შოიგუს განცხადება არ არის მხოლოდ რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადება. ის ნიკოლაი პატრუშევთან ერთად პუტინის მარჯვენა ხელია. ეს „ტროიკა“ ქორები არიან და სულ ომზე ფიქრობენ. არის მეორე ნაწილიც, რომლებიც უფრო პროგრესულად აზროვნებენ, მაგრამ ისინი გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ.

– ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ეს გეგმა კრემლში უკვე დამტკიცებულია?

– შოიგუს ეს განცხადება იმას ნიშნავს, რომ კრემლი მზად არის, ყველა იმ ძალას დაუპირისპირდეს, ვისაც სამხრეთ კავკასიაში რაიმე გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს. კრემლი შეუძლებელსაც კი გააკეთებს იმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიასა და პოსტსაბჭოთა სივრცეზე პოლიტიკური გავლენები შეინარჩუნოს.

– საქართველო ამ გამოწვევისთვის მზად არის?

– დღეს საქართველო არაფრისთვის არ არის მზად. ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთის ლანძღვით არიან დაკავებული. ამდენი წელია, დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და ეთნორეგიონული კონცეფცია ვერ შევიმუშავეთ. ეს ერთი უბედურებაა, ხოლო მეორე უბედურებაა ის, რომ ქართველს ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს უნდა დასავლეთი, სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს – ჩრდილოეთი.

ყველა დიდი პოლიტიკოსი მსოფლიოში მარცხნიდან მარჯვნივ ან მარჯვნიდან მარცხნივ გადაადგილებისას განადგურდა. იგივე დაემართა თურქეთსაც. ეგენიც ჩვენსავით ემოციური ხალხია, მათ ჩვენი დონის სახელმწიფოებრივი გამოცდილება არ აქვთ. სწორედ ამიტომ ვერ იყენებენ უძლიერეს არმიას, რომელიც მათ ნატომ შეუქმნა. შიგნით აქვთ სეპარატიზმის, რადიკალური ისლამისა და პროდასავლური ორიენტაციის მქონე ოპოზიციისა და სამხედრო ელიტის აქტიურობის პრობლემა.

– ერდოღანის პოზიციის ცვლილებების გამო მოხდა ის 2-საათიანი პუტჩი, რომელიც სერიოზულ კითხვებს იწვევს?

– ჩვენ ერთი წლის წინ სწორედ „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვით პირდაპირ, რომ პროდასავლური სამხედროების მოთმინების ფიალა ოდესღაც აივსებოდა ერდოღანის ასეთი კონტრასტული განცხადებების გამო. ერდოღანმა პუტინს ბოდიში რომ მოუხადა, ეს იყო ბოლო წვეთი პატრიოტი, პროდასავლური, „სვეკი“ თურქებისთვის. ამან სამხედრო ელიტის მოთმინების ფიალაც აავსო.

ამ ბოდიშს კიდევ უარესი დაემატა. მოსკოვსა და ანკარას შორის როცა დათბა ურთიერთობა და მოლაპარაკებები დაიწყო, რუსეთმა შესთავაზა თურქეთს შავი ზღვის აკვატორიის ერთობლივი ძალებით გააკონტროლება, ოღონდ ისე, რომ იქ ნატოს გემები არ შემოუშვან. ამას მეტს არაფერს დავამატებ. ვისაც ოდნავ რაღაც ესმის, ყველაფერს მიხვდება.

ერდოღანის კონტრასტულობა 15-16 ივლისის სამხედრო პუტჩით დასრულდა. 2 საათის განმავლობაში გადატრიალება მომხდარი იყო და ამ დროში არმია აკონტროლებდა მთელ თურქეთს. სტრატეგიული ობიექტები, ოპერაციაც მათემატიკური სიზუსტით ჩაატარეს და მერე უცბად გაჩერდნენ. დაიბნნენ თუ შეაშინა ვინმემ? საუბარია მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს არმიაზე.

– თქვენი აზრით, რატომ გაჩერდნენ?

– იმიტომ გაჩერდნენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციას დაელოდნენ. ეს იყო დიდი ქვეყნებისთვის გაგზავნილი მესიჯი – ჩვენ ეს შეგვიძლია და მივიყვანოთ თუ არა საქმე ბოლომდეო. ამას მოჰყვა თეთრი სახლის განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ისინი არ ერევიან შიდა კონფლიქტში, რადგან არ აქვთ ინფორმაცია, თუ რა ხდება. ამას უკვე მოჰყვა ჯონ კერის განცხადება, რომ სამხედრო ძალით ხელისუფლების შეცვლას ისინი არ დაუშვებენ და დემოკრატიულად არჩეულ პრეზიდენტს უჭერენ მხარს. ქერის განცხადებიდან მოკლე ხანში გამოდიან თურქეთის სახმელეთო და საჰაერო ძალების სარდლები და ამბობენ, რომ მეამბოხეები მხოლოდ ერთი ჯგუფია და ისინი არ გამოხატავენ მთელი სამხედრო ელიტის ინტერესებს.

არმიის გენერლების განცხადებას წინ უსწრებდა რუსეთის განცხადება, რომ მზადაა, მიიღოს ერდოღანი. გადატრიალება თუ მოხდებოდა და ერდოღანს შეიფარებდნენ, ამის შემდეგ მათ ექნებოდათ სერიოზული საბაბი, სამხედრო გზით სამხრეთ კავკასია დაებრუნებინათ თავიანთი გავლენის ქვეშ და პოზიციები გაემაგრებინათ ლეგიტიმური ერდოღანის უკან დაბრუნების მიზნით.

ერდოღანი გადაარჩინა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მასთან ერთად გადავრჩით ჩვენც.

– ჩვენ რატომ გადავრჩით?

– თუ თურქეთზე კონტროლს პროდასავლური სამხედროები დაამყარებდნენ, რუსეთი იტყოდა, რომ თავის უსაფრთხოებას იცავს. დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების გამო ისეთ ეკონომიკურ სიდუხჭირეში არიან, რომ გაუჭირდებათ შემდგომში რაიმე სამხედრო ოპერაციის ჩატარება, გარდა ერთისა – ღილაკს უნდა დაჭირონ თითი. ამაზე თუ წავლენ, უნდა იცოდნენ, რომ ის რაკეტა არ ჩავარდება ამერიკაში. საპასუხოდ ძალიან ბევრ წერტილოვან დარტყმას მიიღებენ. 2017-2018 წლები გლობალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება – გაირკვევა, ვინ რას თმობს და ვინ რას იღებს.

– რადგან ამბობთ, რომ დაუძლურებულია რუსეთი, მაშინ შოიგუს განცხადებას სერიოზულად არ უნდა მოვეკიდოთ?

– ეს არის ის გეგმა, რომლისთვისაც ისინი მზად არიან. სერიოზულად ხელისუფლება ისედაც არ ეკიდება არც ამ და არც სხვა განცხადებებს.

– ამ გეგმის განსახორციელებლად ეყოფათ ძალები?

– ძალიან გაუჭირდებათ. ეს მათთვის მესამე ფრონტი იქნება და რუსეთს სისხლისგან დაცლის. ამის მიუხედავად, ისინი მაინც შეეცდებიან მიზნის მიღწევას. საქართველოში შემოსასვლელად რუსეთს ბევრი დრო არ სჭირდება. ისედაც საქართველოს ტერიტორიაზე აქვს განთავსებული ბაზები. ის, რაც 16 ივლისს მოხდა, იყო ქარიშხალი, რომელმაც გვერდზე ჩაგვიარა. ჩვენ ახლა ველოდებით ქარიშხალს ჩრდილოეთიდან. იმედია, ისიც გვერდზე ჩაგვივლის.

– ფიქრობთ, რომ იქაც სამხედრო გადატრიალება იქნება?

– იქ სამხედრო გადატრიალება არ იქნება. ეს იქნება მშიერი ბუნტი. კრემლი უკვე სულელურ გადაწყვეტილებებს იღებს. მმართველობაში სამხედრო კომუნიზმის ელემენტები შემოაქვთ და კერძო კომპანიებს უნიშნავენ მმართველებს. მეორე, რასაც რუსეთში უნდა ველოდოთ, ტერაქტებია. ტერაქტებისგან არც თურქეთია დაზღვეული.

15-16 ივლისის მოვლენები ერდოღანისთვის მწარე გაკვეთილი იქნება. წესით, მან მარჯვნიდან მარცხნივ აღარ უნდა იხტუნაოს. მას სამხედროებმა სერიოზული პროფილაქტიკა ჩაუტარეს. თურქეთი, როგორც სახელმწიფო, შექმნა სწორედ სამხედრო ელიტამ. თურქეთი რომ ნატოს წევრია და მსოფლიო პროცესებში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე, ესეც პროდასავლური სამხედრო ელიტის დამსახურებაა.

– ახლა თურქეთში ამ სამხედროებს ლინჩის წესით ასამართლებენ. ერდოღანმა გავეშებული ხალხი მიუშვა მათზე. ამას სამხედროები გადაყლაპავენ?

– ამას ძალიან სერიოზული გართულებები მოჰყვება. ის 2-საათიანი ამბოხი არ დამთავრებულა, პროცესები ახლა დაიწყო. ერდოღანმა თავისი კონტრასტულობით მიაღწია იმას, რომ რადიკალი ისლამისტებისა და შეურაცხყოფილი სამხედრო ელიტის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. არც ერთს და არც მეორეს არ მოსწონს ანკარისა და რუსეთის სიამტკბილობა.

– ამ ყველაფრის შემდეგაც გააგრძელებს რუსეთთან სიამტკბილობას ერდოღანი?

– ძალიან გაუჭირდება ასეთი სიამტკბილობა. თუ ის რუსეთთან გააგრძელებს თამაშს, მაშინ ღიად უნდა აწარმოოს ანტიდასავლური პოლიტიკა. ამას მართლა სამხედრო გადატრიალება მოჰყვება და თურქეთი დაიშლება ისე, როგორც სირია. ეს ქვეყანა ისედაც ფედერალიზმისკენ მიდის.

– ზემოთ თქვით, ამერიკამ გადაარჩინა ერდოღანიო. ერთ-ერთ ვერსიად განიხილება ისიც, რომ რუსეთთან ჩახუტების გამო სწორედ ამერიკამ მოუწყო ეს ყველაფერი. ამას დაემატა ისიც, რომ ერდოღანმა ამერიკას საჰაერო სივრცე ჩაუკეტა.

– ამერიკას საჰაერო სივრცე იმიტომ ჩაუკეტა, რომ მან გიულენის გადმოცემაზე უარი უთხრა. ერდოღანი გიულენს ადანაშაულებს მომხდარში. ბევრი ამბობს, რომ ამ ამბავში ამერიკის ხელი ურევია. მე ამ კითხვაზე პასუხის ნაცვლად კითხვა მაქვს – ვინ იდგა რუსეთში 1991 წლის სამხედრო გადატრიალების უკან? ეს არ ვიცით, სამაგიეროდ, ვნახეთ ის პროცესები, რომლებიც ამას მოჰყვა. მაშინ საბჭოთა კავშირი დაიშალა.

– ახლაც შეიძლება, თურქეთი დაიშალოს?

– ამის რეალური საფრთხე არსებობს. იგივე შეიძლება დაემართოს რუსეთსაც.

– გეკაჩეპეს შემდგომი მოვლენები ახსენეთ და ის არც საქართველოსთვის დამთავრებულა კარგად, რამდენიმე თვეში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ამის გამეორებაც შესაძლებელია?

– საქართველოში სამხედრო გადატრიალება არ მოხდება, არეულობა კი შესაძლებელია. ოქტომბერში არჩევნებია და ზოგიერთი პარტია სიტუაციის არევას შეეცდება. რამდენად სერიოზული იქნება ეს არეულობა, დრო გვაჩვენებს.

მანანა კობახიძე: „პრემიერი თურქეთში დაგეგმილი ვიზიტის გაუქმებას არ აპირებს“

– თურქეთში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მზადაა, რომ თურქეთში დაგეგმილი ვიზიტი არ გააუქმოს, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა მანანა კობახიძემ.

დეპუტატმა თურქეთში გარდაცვლილი ადამიანების გამო ღრმა მწუხარება გამოხატა. მისივე თქმით, ცივილიზებული მსოფლიოსთვის აბსოლუტურად მიუღებელია არჩეული ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით დამხობა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, ნებისმიერი ასეთი მცდელობა სწრაფად უნდა იყოს აღკვეთილი და სამართლის ჩარჩოში უნდა მოხდეს ამ მძიმე დანაშაულის გამოძიება. მისივე თქმით, ნებისმიერი დამნაშავე სწორედ სასამართლოს გზით უნდა გასამართლდეს და ნებისმიერი სასჯელი მხოლოდ სასამართლომ უნდა გამოიტანოს.

– პრემიერ-მინისტრის ვიზიტია დაგეგმილი. მიუხედავად ამ ძალიან ტრაგიკული მოვლენებისა და, პრაქტიკულად, ძალიან საფრთხის შემცველი გარემოსი, რაც რეალურად ვნახეთ, ჩვენი მხრიდან, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრის მხრიდან არის მზაობა, რომ ეს ვიზიტი ყველაფრის მიუხედავად განხორციელდეს, რა თქმა უნდა, თუკი თავად თურქული მხარე ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეძლებს ჩვენი დელეგაციის მიღებას. ის, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ ვიზიტისთვის მზადაა და არცერთ შემთხვევაში ჩვენი მხრიდან არ მომხდარა გაუქმება, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენ ვდგავართ თურქეთის სახელმწიფოს გვერდით. ჩვენი ინტერესია, რომ მშვიდობა და სტაბილურობა რაც შეიძლება მალე აღდგეს და თურქი ხალხი ჩვეულებრივ ცხოვრების რეჟიმს დაუბრუნდეს, – განაცხადა კობახიძემ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში.

ინტერპრესნიუსი

სალომე ზურაბიშვილი: „ის მოხდა, რასაც ერდოღანი დიდი ხანია ამზადებდა“

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

როგორც ზურაბიშვილმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაწერა, შექმნილ ვითარებაში საქართველომ მეტი სიფრთხილე და შორსმჭვრეტელობა უნდა გამოიჩინოს.

– თურქეთში განვითარებულ მოვლენებზე უამრავი ვერსია უკვე გავრცელდა ჩვენთან და ალბათ კიდევ ბევრიც გავრცელდება. ვინ რუსეთს აბრალებს და ვინ ამერიკას... სინამდვილეში კი, რაც მოხდა, ყველა ნიშნით წარმოადგენს წმინდა წყლის „თურქულ“ მოვლენას და თურქულმა ისტორიამ ამის მრავალი პრეცედენტიც გვაჩვენა... ის მოხდა, რასაც ერდოღანი დიდი ხანია ამზადებდა, თავისი ერთადერთი სერიოზული ოპონენტის ანუ სამხედრო მაღალჩინოსნების საბოლოოდ განიარაღება, – წერს ზურაბიშვილი.

მედიანიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ზრდიან თუ არა ბათუმის ლიცეუმში ბავშვებს ტერორისტებად

შორენა მარსაგიშვილი

ბათუმში თურქეთის გენერალური კონსულის იასინ თემისქანის განცხადებამ ქვეყანაში ლამის პანიკა გამოიწვია. მისი თქმით, ბათუმის შაჰინის სახელობის მეგობრობის ლიცეუმში, რომელიც ერთ-ერთ ელიტურ სასწავლებლად ითვლება, ბავშვებს ტერორისტული იდეოლოგიით ზრდიან.

ეს შემაშფოთებელი ინფორმაცია თემისქანმა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

ბათუმში თურქეთის კონსულმა მშობლებს მოუწოდა, ბავშვები აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებას მოარიდონ.

აჭარის ტელევიზიასთან საუბარში კონსული განმარტავს, რომ სკოლა-ლიცეუმი ტერორისტული დაჯგუფებების ქოლგის ქვეშ იმართება და ბავშვები ამავე იდეოლოგიით იზრდებიან.

თემისქანის ინფორმაციით, სკოლა ტერორისტ ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის ნაწილია. თურქეთის ხელისუფლება 15-16 ივლისის პუტჩს სწორედ გიულენის სახელს უკავშირებს. ის ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს და ერდოღანის მთავარ ოპონენტად ითვლება.

– ეს ხალხი იმაგრებს საკუთარ პოზიციებს საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით და ზრდის თაობებს, რომლებიც არა სახელმწიფოს, არამედ ამ ტერორისტულ დაჯგუფებებს ემსახურებიან. სამწუხაროდ, საქართველოში, აჭარაშიც არის ამ დაჯგუფების რეფადინ შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმი.

მოვუწოდებ აჭარის მოსახლეობას, ქართველ ხალხს, ნუ გაუშვებთ შვილებს ამ სკოლაში, რადგან ეს სკოლა ამ ტერორისტულ დაჯგუფებებს ემსახურება. ჩვენ საქართველოს შესაბამის უწყებებთან გამოვალთ ინიციატივით, რათა ამ ორგანიზაციის საგანმანათლებლო დაწესებულებები დაიხუროს, – აცხადებს თემისქანი.

კონსულის განცხადებას სერიოზული შეშფოთება მოჰყვა. თემისქანისგან განსხვავებით, სკოლა-ლიცეუმის მიმართ სულ სხვა დამოკიდებულება აქვს ბათუმის მაჟორიტარ დეპუტატ მურმან დუმბაძეს.

თურქეთის კონსული ლიცეუმის დახურვას მოითხოვს

– ეს სკოლა არის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მთელ ბათუმში. აქ ბავშვები ძალიან კარგ განათლებას იღებენ. მე მქონდა ამ სკოლასთან შეხება და კარგად ვიცი, რაც იქ ხდება. ერთი პერიოდი ბავშვების გაცვლით პროგრამას ვკურირებდი. ამ სკოლის რამდენიმე კურსდამთავრებული ამერიკაში გავაგზავნეთ. ყველამ წარმატებით გააგრძელა იქ სწავლა. რამდენიმე მათგანი იქ დარჩა და იქ მოღვაწეობს. აქ ვინც დაბრუნდა, ყველა წარმატებული ადამიანია, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ბათუმის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

მურმან დუმბაძისთვის უცნობია, რის საფუძველზე აკეთებს ასეთ განცხადებას კონსული. ის შემდგომი კომენტარების გასაკეთებლად დამატებით ინფორმაციებს ითხოვს.

– არ ვიცი, რის საფუძველზე აკეთებს ბატონი კონსული ასეთ განცხადებას. დიპლომატები მკვეთრ განცხადებებს ერიდებიან და მან დამატებითი მასალები უნდა წარმოადგინოს. როგორც უკვე გითხარით, მე შეხება მქონდა ამ სკოლასთან და ვიცი, რომ იქ ბავშვები კარგ განათლებას იღებენ. ალბათ, დამატებითი განმარტებები უნდა გაკეთდეს. ასეთი ხმაურიანი განცხადება ასე ვერ დარჩება, – ამბობს დუმბაძე.

პარლამენტის ვიცესპიკერის თქმით, ამ სკოლის მიმართ კონსულს შესაძლოა იმიტომ აქვს პრეტენზიები, რომ ის გიულენთან არის დაკავშირებული.

– ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შავი ზღვის უნივერსიტეტიც ტერორისტული იდეოლოგიის ქვეშაა, რადგან ისიც რაღაცითაა გიულენთან დაკავშირებული, – აღნიშნავს დუმბაძე.

ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს სკოლის დირექტორი ელგუჯა დავითაძე. მისი თქმით, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა კონსული თემისქანი ამგვარი ბრალდებებით გამოდის.

– ეს არ არის პირველი ბრალდება, აუცილებლად მივიღებთ შესაბამის ზომებს. მეორეც, სრულიად აბსურდული განმარტებაა და სიმართლეს არ შეესაბამება. მინდა ვკითხო ამ ბრალდების ავტორს, თუ ასეთი დაწესებულება იყო ეს, რატომ დადიოდა საკონსულოს 20 და 30 ბავშვი ჩვენთან სკოლაში და იღებდა განათლებას?

ამის გამოცდილება და პრაქტიკა გვაქვს და თავისუფლად შეუძლია შეამოწმოს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქესა და ბათუმის მოსახლეობას, სკოლის 20-წლიანი მოღვაწეობიდან რა შედეგი აქვს ჩვენი ქვეყნისთვის, ბათუმისთვის. ეს არის სრული აბსურდი და ცილისწამება, რის შესახებაც აუცილებლად მივიღებთ ზომებს, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში ელგუჯა დავითაძე.

კონსულის ბრალდებებს არ იზიარებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.

მისი თქმით, განცხადებას, თითქოს ბათუმის შაჰინის ლიცეუმში ბავშვებს ტერორისტული იდეოლოგიით ზრდიან, საფუძველი არ აქვს.



მურმან დუმბაძე: „არ ვიცი, რის საფუძველზე აკეთებს ბატონი კონსული ასეთ განცხადებას“

ირაკლი სესიაშვილმა აიპრესთან საუბარში განაცხადა, რომ კონსულის განცხადებაზე საქართველოს საგარეო უწყება რეაგირებას მოახდენს.

– დიპლომატიური სტანდარტის შესაბამისად, ბათუმში თურქეთის კონსულის განცხადებაზე საგარეო უწყება შესაბამის რეაგირებას მოახდენს. მესმის, რომ ცხელ გულზე ემოციური განცხადებები კეთდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში სასწავლო დაწესებულებები საქართველოს კანონმდებლობას ექვემდებარება და მათზე კონტროლს საქართველოს განათლების სამინისტრო ახორციელებს.

ასეთი განცხადებების გაკეთების საფუძველი არ არსებობს და, თუ რა საფუძველი ჰქონდა ბატონ კონსულს, ამაზე რეაგირებას საგარეო უწყება მოახდენს, შესაბამისად, სიტუაციაში გაერკვევით, – განაცხადა სესიაშვილმა.

არეულობა სომხეთში

შეიარაღებული ოპოზიცია ერევნის პოლიციის შენობაში შეიჭრა

შორენა მარსაგიშვილი

სოხუმსა და სტამბოლში განვითარებულმა მოვლენებმა სომხურ ოპოზიციასაც ააღებინა ხელში იარაღი.

იმ დროს, როცა მთელ ერევანს ტკბილი ძილით ეძინა, შეიარაღებული პირები ერებუნის რაიონის პოლიციის განყოფილებაში შეიჭრნენ და მათი თანამოაზრის, ჟირაიარ სეფელიანის გათავისუფლება მოითხოვეს.

სეფელიანი სომეხმა სამართალდამცავებმა 20 ივნისს იარაღის უკანონოდ ტარებისთვის დააკავეს, მისი თანამოაზრეები კი ამტკიცებენ, რომ დაკავების მიზეზი სეფელიანის აქტიურობა იყო.

22 ივნისს მას სასამართლომ წინასწარი 2-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

გამოძიების ვერსიით, სეფელიანსა და მის თანამოაზრეებს დაგეგმილი ჰქონდათ ერევანში მთელი ობიექტების, მათ შორის ტელევიზიის ხელში ჩაგდება.

გამოძიების ინფორმაციითვე, სეფელიანმა თანამოაზრეებს, რომლებსაც წარსულში კანონთან პრობლემები ჰქონდათ, დაავალა, იარაღი მოემარაგებინათ.

ეტყობა, თანამოაზრეებმა იარაღი მართლაც მოიმარაგეს და 17 ივლისის დილით პოლიციის შენობაზე იერიში მიიტანეს.

მოძრაობა დამფუძნებელი პარლამენტის წევრებმა მძვლად აიყვანეს ერევნის პოლიციის უფროსის მოადგილე ვალერი ოსიპიანი და 7 ადამიანი. სროლის შედეგად ერთი ადამიანი, პოლკოვნიკი არტურ ვანოიანი, დაიღუპა, პოლკოვნიკი არამ ოვანესიანი, ვიცეპოლკოვნიკი ჰრაჩ ხოტეგიანი და უმცროსი ოფიცერი გაგიკ მკრტჩიანი კი დაშავდნენ.

შენობასთან მივიდა სომხეთის პოლიციის უფროსი ვლადიმერ გასპარიანი. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამხედროები.

მოგვიანებით სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეიარაღებული დაჯგუფების წევრებთან მოლაპარაკებები დაიწყეს.

– დღეს დილით შეიარაღებული ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფი სომხეთის საპატრულო დაცვის პოლკში შეიჭრა და ძალადობის მუქარით ადამიანები ჰყავთ დაკავებული. ამ დროისთვის მათთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რათა ხელისუფლებას მშვიდობიანად ჩაბარდნენ, – ნათქვამი იყო უშიშროების სამსახურის განცხადებაში.

პოლიციის შენობაში შეჭრილთა მომხრეები სოციალური ქსელებით ავრცელებდნენ განცხადებებს, რომ შეიარაღებული ამბოხი დაიწყო.

– ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ქალაქის პოლიციის ერთ-ერთი ძირითადი ბაზა. შეიარაღებული ძალები შემოგვიერთდნენ. აჯანყება მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს, – ეწერა განცხადებაში, რომელიც ფეისბუქით გამოაქვეყნეს დამფუძნებელი პარლამენტის აქტივისტებმა.

უშიშროების სამსახური ამ ინფორმაციას უარყოფდა და აცხადებდა, რომ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ჩვეულ რეჟიმში განაგრძობდნენ მუშაობას.

ამბოხის თავიდან ასაცილებლად ინტერნეტპროვაიდერებმა ფეისბუქი დროებით გათიშეს.

ამის შესახებ თვითერის საკუთარ გვერდზე სომეხმა ჟურნალისტმა არტურ პაპიანმა დაწერა.

– არის ინფორმაცია, რომ ზოგიერთმა ძირითადმა პროვაიდერმა ფეისბუქზე წვდომა შეზღუდა. ეს ძირითადი პლატფორმაა ოპოზიციისთვის ინფორმაციის გასავრცელებლად, – აღნიშნა ჟურნალისტმა.

მისივე ინფორმაციით, მოგვიანებით სოციალურ ქსელზე წვდომა აღდგა.

◆ ◆ ◆

დღის მეორე ნახევარში სომხეთის პოლიციის უფროსის მოადგილე უნან პოღოსიანმა განაცხადა, რომ დაჯგუფების წევრებთან მოლაპარაკებები კვლავ გრძელდებოდა.

პოლიციამ დამნაშავეებს მოუწოდა, უარი ეთქვათ დანაშაულებრივ ქმედებებზე და ჩაბარებოდნენ პოლიციას.

– წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიციას გააჩნია ძალები იმისთვის, რომ მათი განეიტრალება მოხდეს. პოლიცია იღებს ყველა პრევენციულ და ოპერატიულ ზომას და, თუკი ჩვენს მოწოდებებს არ მოისმენენ, შეგვიძლია მათი განეიტრალება, რადგან მკვლელებს სხვაგვარად არ ექცევიან, – განაცხადა პოღოსიანმა.

მან დააკონკრეტა, რომ დამნაშავეებს, სეფელიანის გათავისუფლების მოთხოვნის გარდა, სხვა მოთხოვნები არ ჰქონდათ. მან უარყო ინფორმაცია, რომ პოლიციის შენობასთან სეფელიანი მიიყვანეს.

საღამოს ერევანში შექმნილი ვითარება სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა ქვეყნის სამართალდამცავი უწყების პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილა.

თათბირზე ქვეყნის პირველ პირს იმ ღონისძიებების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია, რომლებიც იმ დროისთვის სამართალდამცველების მიერ ხორციელდებოდა.

თათბირზე აღინიშნა, რომ ვითარებას სამართალდამცველები მთლიანად აკონტროლებენ და მის გადასაწყვეტად ყველა ზომას მიმართავენ.

◆ ◆ ◆

სეფელიანის მხარდამჭერების მიერ აღებულ პოლიციის შენობაში პარლამენტის დეპუტატი ნიკოლ პაშინიანი შევიდა.

ამბოხებულებთან საუბრის შემდეგ პაშინიანმა შენობა დატოვა და ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა.

– ისინი ჟირაიარ სეფელიანის გათავისუფლებასა და პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის გადადგომას ითხოვენ. ამის გარდა, მათ აქვთ კიდევ ერთი მოთხოვნა – მოხდეს მთავრობის ხელახალი ფორმირება და მინისტრებად ისეთი ადამიანები შეირჩნენ, რომლებსაც ხალხი ენდობა, – განაცხადა დეპუტატმა.

ვინ არის ჟირაიარ სეფელიანი

◆ ◆ ◆

ჟირაიარ სეფელიანი, რომლის გამოც ერევანში შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა, სომხეთში 1990 წელს ჩავიდა.

როგორც „ახალ თაობასთან“ საუბარში ყოფილმა დეპუტატმა ვან ბაიბურთმა განაცხადა, სეფელიანი ლიბანელი სომეხია და იქ გაიზარდა.

– ჟირაიარ სეფელიანს სომხეთში კარგად იცნობენ. ის აქტიურად მონაწილეობდა ყარაბაღის კონფლიქტში. ომის დასრულების შემდეგ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა. ის სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის მოწინააღმდეგეა. მისი გადადგომის მოთხოვნით ხშირად აწყობდა ერევანში აქციებს, – ამბობს ბაიბურთი.

მისი თქმით, სეფელიანს სომხეთში კარგად იცნობდნენ, თუმცა მრავალრიცხოვანი მხარდამჭერების არმია არ ჰყოლია.

– ის სარგსიანის გადადგომის მოთხოვნით ხშირად მართავდა აქციებს. მის მიერ გამართულ ყველაზე დიდ აქციას მაქსიმუმ 70 კაცი ესწრებოდა, – აცხადებს ყოფილი დეპუტატი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სეფელიანი ბაიბურთსაც არ სწყალობდა და მასაც ხშირად აკრიტიკებდა. ამჟამად პატიმრობაში მყოფი სომეხი ოპოზიციონერი საქართველოს ხელისუფლებასაც ხშირად აკრიტიკებდა და ამტკიცებდა, თითქოს სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური სომხების უფლებები ირღვეოდა.

ლევან ალაფიშვილი: „სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღა პარლამენტმა ჩააგდო“

ნათია ხურცილავა

სამართლის ექსპერტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც მოხდება მოსამართლეების შერჩევა ახალი.

– ბატონო ლევან, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეები ფარული კენჭისყრით აირჩია. საზოგადოებამ იცის იმ ოდიოზური გვარების შესახებ, რომლებსაც უკავშირდებათ წინა ხელისუფლების დროს გახმაურებული საქმეები და რომლებიც ახალი ვადით იყრიდნენ კენჭს. როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?

– ეს პროცესი პოლიტიკური პროცესისგან დამოუკიდებლად ვერ განიხილება, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ მმართველმა ძალამ თავის დროზე ამომრჩეველს მისცა მთავარი დაპირება, რომ ის სამართლიანობას აღადგენდა. სამართლებრივად ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი გზით, რომ კანონში გაჩენილიყო ასეთი საქმეების გადახედვის შესაძლებლობა.

– ამ საქმეებზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები არსებობს.

– დიახ, სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება არის ერთ-ერთი საფუძველი საქმის განახლების, მაგრამ განახლებული და წარმატებით დასრულებული საქმეების შესახებ ჯერ-ჯერობით არ მსმენია. რამდენად მოესწრება 8 ოქტომბრამდე ეს, ამას ვერ გეტყვით. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება რთული არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასეთი ცვლილებები კანონმდებლობაში არ მომხდარა.

– რატომ?

– როგორც ჩანს, მმართველი პოლიტიკური გუნდის ძირითად ნაწილს მოუწია კომპრომისებზე წასვლა, იმ დონეზეც კი, რომ საკუთარ წინასაარჩევნო დაპირებაზეც კი უარი ეთქვა ან მისი რევიზია მოეხდინა. რა მიიღო ამის სანაცვლოდ? ალბათ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა. უკვე სახეზეა კომპრომისი, რადგან გახმაურებული საქმეების მოსამართლეები ინიშნებიან, კანდიდატები არიან და ა.შ. თუმცა ეს მოსამართლეები კანონთან მართლები არიან.

– გირგვლიანის საქმის მოსამართლე პირველ ინსტანციაში, გიორგი ჩემია, მოსამართლედ არ დაინიშნა. მას ხმების რაოდენობა არ ეყო, მისი კანდიდატურა ჩავარდა, კიდევ რამდენიმე რეზონანსული საქმის მოსამართლის კანდიდატურა ჩავარდა. ეს რაზე მიანიშნებს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშს უწევს საზოგადოების აზრს?

– როგორც ჩანს, საბჭომ მაინც გაუწია ანგარიში საზოგადოებაში მკაფიოდ ჩამოყალიბებულ პოზიციას და მის მკვეთრად გამოხატულ უკმაყოფილებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხვალ არ დავდგებით იმავე რეალობის წინაშე. ბევრ მოსამართლეს გასდის ვადა და კვლავ იქნება ვაკანსიები, სადაც ისევ შეიტანენ განცხადებას ეს ადამიანები და კვლავ მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში.

ამაში არ იზღუდება არც ჩემი და არც სხვა კანდიდატი. შესაძლებელია, რომ მან წარმატებითაც გადალახოს სხვა ჯერზე კონკურსი. არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ხდება მოსამართლეობის მსურველი კანდიდატის შერჩევა.

– სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მომზადებული კანონპროექტი პარლამენტმა არ მიიღო, ისე დაასრულა მუშაობა. დეპუტატები აცხადებენ, რომ აღნიშნული კანონპროექტის მიღება ვერ მოხერხდება. რატომ ყოვნდება რეფორმის პროცესი?

– სწორედ ამ პროცედურაში წარმოჩნდება ამ პროცესის მთელი პოლიტიკური ელფერი. პარლამენტში ორი მოსმენით მიღებული კანონპროექტი ნიშნავს, რომ მესამე მოსმენა მხოლოდ რედაქციული ხასიათისაა და, ფაქტობრივად, ის მიღებულია, მაგრამ, კანონად რომ იქცეს, საბოლოო კენჭისყრაა საჭირო.

პარლამენტმა მესამე მოსმენამდე ჩააგდო კანონპროექტი. შემთხვევით მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებს ხომ არ შეეხებოდა რაიმე ნორმა ამ კანონპროექტში?! დიახ, შეეხებოდა.

– თქვენ რა ეჭვი გაქვთ?

– არჩევნების დროს სააპელაციო და საქალაქო სასამართლოები მნიშვნელოვანი ინსტანციებია პოლიტიკოსთათვის, სადაც სწორედ ახალი ვადით ახლა ინიშნებიან მოსამართლეები. სხვა დასკვნებისთვის, უბრალოდ, ადგილი არ რჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ კანონპროექტს მიიღებდა პარლამენტი. სამწუხაროდ, გადაწყვეტილებები გაუმჭვირვალე პროცედურების დროს უფრო ადვილად მიიღება.

შალვა ხაჭაპურიძე: „თუ ხელისუფლებას ჰგონია, რომ სასამართლოს მართავს, ძალიან ცდება“

ნონა ცაბაძე

რა პრინციპით ინიშნებიან ახალი მოსამართლეები? რამ გამოიწვია საზოგადოების ერთ ნაწილში პროტესტი? რატომ ჩავარდა მესამე ტალღა? ვისგან იმართება მურუსიძის დაჯგუფება? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრა.

– ბატონო შალვა, რა ხდება სასამართლო სისტემაში? გვესმის შეფასებები, რომ მურუსიძე მხოლოდ მის ახლობლებს უგრძელებს მოსამართლეობის ვადას. ასეა?

– ჩატარდა ეს კონკურსი. ამ ეტაპზე მოხდა ისე, რომ ჩემია და ურთმელიძე არ დანიშნეს. ცოტა მიწყნარდება სიტუაცია და მათაც სადღაც აუცილებლად დანიშნავენ რაიონებში, მერე ისევ გადმოიყვანენ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ისე არ დატოვებენ?

– ჩემიანზე თავს ვერ დავდებ, ჩემიაზე არანაირი ვალდებულება არ გააჩნია დღევანდელ იუსტიციის საბჭოს ხელმძღვანელობას. აი, ურთმელიძეს სადმე აუცილებლად დანიშნავენ, მის წინაშე ვალში არიან. ფაქტი ერთია, რომ ბევრს ისეთს გაუგრძელდა ვადა, აშკარაა, რომ მურუსიძის, ცერცვაძის, ჩინჩალაძის ხელი ურევია.

– ანუ ძველი მოსამართლეებიდან ძირითადი ნაწილი დარჩა?

– ასე ვთქვათ, თავიანთი ხალხი დაიტოვეს. იუსტიციის საბჭო, ფაქტობრივად, ორ ნაწილადაა გაყოფილი. ბოლომდე გვენეტაძის წინააღმდეგ ვერ წავიდნენ და ამიტომ ახლებიც დანიშნეს, თუმცა ძველებიდან მორჩილი მოსამართლეები დაიტოვეს.

– ვისზე საუბრობთ?

– გვარებს რაღა მნიშვნელობა აქვს... ორ გვარზე ვიტყვი მხოლოდ. გახსოვთ, მოსამართლე ვანო წიკლაურზე რამდენს ვსაუბრობდი? ამ კაცმა მონოპოლია დააკანონა და ასეთ მოსამართლეს ვადა გაუგრძელეს. თავიდან ათი წლით დანიშნეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სამოქალაქო კოლეგიაში.

პარალელურად კი თეა ხამხაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ვადა არ გაუგრძელეს. თეა ხამხაძე იყო პროგრესი! მან პირველად გამოიტანა გადაწყვეტილება ქონების დაბრუნებებთან დაკავშირებით. მისი გადაწყვეტილება რევოლუცია იყო ქართულ მართლმსაჯულებაში.

– რატომ არ გაუგრძელეს ვადა?

– არც არაფერი უთხრეს. უბრალოდ, არ გაუგრძელეს, იმიტომ, რომ ხამხაძე არცერთ დაჯგუფებას არ მიეკუთვნება.

– და ასეთი მოსამართლეები არ აწყობთ?

– არ აწყობთ! აქედან გამომდინარე, საქმეებში, რომლებიც დასჭირდება ამ სამეულს, გადაწყვეტილებას მიიღებს არა მოსამართლე, არამედ მიიღებენ თვითონ და დაავალებენ თავიანთ მოსამართლეებს. კარგად დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, მე გაზეთის ამ ნომერს შევინახავ: ერთ მშვენიერ დღეს ეს გამოიწვევს კატასტროფას. სისტემა ჩამოიშლება იმგვარად, რომ ეს შეიწირავს ამ სისტემის დიდ ნაწილს.

– ანუ დღეს ისევ მართულია სასამართლო?

– ვისაც ვერ მართავს დღეს ეს ჯგუფი, იმათ იშორებენ თავიდან და ვინც მართვადია, იმათ ვადას უგრძელებენ და ახალი ვადით ინიშნებიან. ეს ძალიან ცუდის ნიშანია.

– თვითონ ეს სამკაციანი ჯგუფი, რომელიც თქვენ დაასახელეთ, ვისგან იმართება, ხელისუფლებისგან?

– ეს სამეული? ვერ გეტყვით, ამათ უკან ვინ დგას, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი: თუ ხელისუფლებას ჰგონია, რომ მართავს მოვლენებს, ძალიან ცდება! იმიტომ, რომ ეს ხალხი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ადეიშვილთან. თუ დაინახეს, რომ ამ ხელისუფლებას უჭირს, შეპირებული გვერდში დგომის ნაცვლად იქნება სერიოზული ღალატი.

– თუკი ასეა, მაშინ რატომ დაუჭირა „ოცნების“ ხელისუფლებამ მხარი მურუსიძეს, რატომ დანიშნეს, თუკი იცოდნენ, რომ მას მაინც კავშირები აქვს ძველ ხელისუფლებასთან?

– არჩევნებისთვის. ფიქრობენ, რომ იმდენად ძლიერი საარჩევნო კამპანია იქნება, „ოცნებას“ არ გაუჭირდება საარჩევნო პრობლემის მოგვარება, თუმცა შიშობენ, რომ სადღაც შესაძლოა პრობლემები შეექმნათ. ეს არჩევნები ყველა წინა არჩევნებისგან განსხვავებული იქნება, რომლებიც კი დამოუკიდებლობის მერე ჩატარებულა. ვგულისხმობ იმას, რომ ძირითადი ბირთვი უნდა გაიყვანოს მაჟორიტარების მიერ მოპოვებულმა ქულებმა.

– არჩევნები მურუსიძესთან რა კავშირშია?

– მაჟორიტარებში 99%-ში ალბათ იქნება მეორე ტურები. ეს მეორე ტურებიც რა შედეგით დამთავრდება, არავინ იცის და აი, აქ უკვე საჭირო ხდება სასამართლო. სწორედ ამიტომ თვალი დაიხუჭა მურუსიძესა და ამ დაჯგუფებაზე. აი, ამიტომ გადაიდგა ასეთი ნაბიჯი, რამაც აშკარად დააზიანა მოქალაქეების ინტერესები, სახელმწიფოს ინტერესები და ეს მთლიანად მიმართულია თავად სამართლის წინააღმდეგ. ამ სიტუაციაში კი დაზარალებული გამოდის ხალხი. ხალხი კი ამ ყველაფერს შეფასებას მისცემს.

– რა ფორმით?

– ეს იქნება არჩევნების ფორმა, პროტესტის თუ ასე შემდეგ.

– ანუ ის მესამე ტალღად წოდებული რეფორმა ჩავარდა?

– არანაირი ტალღა ეს არ არის! ეს არის ამყაყებული ჭაობი, სადაც გამრავლებულია ათასგვარი ქვეწარმავალი. სადაა ტალღა?! ვანო წიკლაურია ტალღა? თუ ალანიაა ტალღა?! რომელი ერთი დავასახელო?! ეს ძალიან დიდი შეცდომაა. კვლავ აქცენტი კეთდება არა რეალური სასამართლოს სისტემის აწყობაზე, არამედ სისტემაში მორჩილი ადამიანების ყოფნაზე, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლების ინტერესებს გაატარებენ სასამართლოში.

– ეს ხელისუფლებაც წავიდა ამაზე?

– ეს არის სახელმწიფობანას თამაში. ვიმყოფებით ღრმა ყანაში და არაფერი ამას ქვეყანასთან, სახელმწიფოებრიობასთან და ეროვნულობასთან საერთო არ აქვს! ეს არის კატასტროფა და ძალიან მალე თავს იჩენს.

სხვათა შორის, ვანო მერაბიშვილისა და ადეიშვილის მიერ დანიშნულმა მოსამართლეებმა გაასამართლეს თავად ისინი. არადა, ეგონათ, რომ მათი ერთგულები იყვნენ. ბევრი მათგანი სკამის გულისთვის ყველაფერს გაყიდის. ის, რაც სასამართლოში მოხდა, ნიშნავს, რომ ჩვენ ვერაფერი შევცვალეთ. სისტემა ვერ შევცვალეთ. ისევ ღრმა საბჭოთა კავშირში ვართ!

გიორგი მარგველაშვილი ვიზიტით სლოვენიას ეწვევა

18-19 ივლისს სლოვენიის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი გაიმართება. – აცნობეს „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან.

საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისა და პირველი ლედის მაკა ჩიჩუას დახვედრის ოფიციალური ცერემონია ლუბლიანაში, სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლეში გაიმართება. დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილისა და სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბორუტ პაჰორის პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში შეხვედრა. შეხვედრის დასრულების შემდეგ პრეზიდენტები მედიისთვის ერთობლივ განცხადებას გააკეთებენ.

ასევე დაგეგმილია საქართველოს პირველი ლედის მაკა ჩიჩუას შეხვედრა სლოვენიის პირველ ლედი ტანია პეჩარისთან. საქართველოს პრეზიდენტისა და პირველი ლედის პატივსაცემად სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბორუტ პაჰორისა და ტანია პეჩარის სახელით ოფიციალური სადილი გაიმართება. გიორგი მარგველაშვილი, ვიზიტის ფარგლებში, შეხვდება სლოვენიის პრემიერ-მინისტრ მირო ცერარს, სლოვენიის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტს მილან ბრგლეზს, ქალაქ ლუბლიანას მერ ზორან იანკოვიჩსა და ქალაქ პირანის მერ პიტერ ბოსმანს. დაგეგმილია ასევე, სამუშაო ლანჩი სლოვენიის რესპუბლიკის ინფრასტრუქტურის მინისტრ პიტერ გასპერსიჩთან.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ ორმხრივი დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონია გაიმართება, რომელიც საქართველოსა და სლოვენიის მთავრობებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობასა და სამუშაო პასპორტების მქონე პირთა ვიზების გამარტივებას ეხება. აღსანიშნავია, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში სლოვენიის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი პირველად შედგება.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

თემურ ბათირაშვილი: „თარხანი აიძულეს, აქედან წასულიყო“

ვინ შეატყობინა ოჯახის წევრებს „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერის თარხან ბათირაშვილის გარდაცვალების შესახებ? რამ შეუწყო ხელი პანკისიდან სირიაში თარხან ბათირაშვილის წასვლას და რა ინფორმაცია აქვს თემურ ბათირაშვილს მის შვილთან ერთად გარდაცვლილი სხვა პანკისელების შესახებ? – პანკისის სათემო რადიოს რეპორტიორი შორენა ხანგოშვილი თარხან ბათირაშვილის მამას თემურ ბათირაშვილს ესაუბრა.



– 14 ივლისს დილით ჩემმა ბიჭმა მითხრა, მართალიაო. მანამდე არ მჯეროდა. ჩემს უფროს ბიჭს სანდო პირმა უთხრა, სულეიმანის ბიჭმა, ისიც იქ არის, სირიაში. იმას დაურეკია. სამძიმარი მივიღეთ და ეს ნიშნავს, რომ თარხანი ნამდვილად დაიღუპა, – ამბობს თემურ ბათირაშვილი.

მისივე თქმით, თარხან ბათირაშვილის გარდა, კიდევ 3 პანკისელის ვინაობაა ცნობილი, რომლებიც სირიაში ბოლო დღეებში დაიღუპნენ, მათ შორის ერთ-ერთი, ბექხან ტოხოსაშვილი, ბათირაშვილის პირადი დაცვის წევრი იყო.

– ხანდახან კი გამიელვებდა თავში, აქეთ-იქით რომ იტყოდნენ, მავანი მოკვდაო, ე, თემო, ფრთხილად, ბოლოს შენს კარზეც არ დადგეს ეს ამბავი, მაგრამ მე რა შემეძლო, რის გამკეთებელი ვიყავი. ვიცოდი, რაღაც უბედურება დატრიალდებოდა ჩვენს თავს. თარხანის დაღუპვის შესახებ ინფორმაცია მანამდეც არაერთხელ გავრცელდა. ჟურნალისტების რიგი იდგა ხოლმე აქ. ხან გავიქცეოდი დილით, მთელი დღე დამალული ვიყავი. მოვიდოდი, გამოვხედავდი, ისევ გზაზე იდგნენ. მინდორში ხომ ვერ გავათენებდი და მოვდიოდი მერე სახლში. ბევრი გამიყრია კიდეც, – ამბობს თემურ ბათირაშვილი.

მისი თქმით, თარხან ბათირაშვილს საქართველოდან წასვლა ყოფილი ხელისუფლების დროს აიძულეს:

– ყველაზე მეტად ეგ მახსენდება, გამწარებული, საქართველოს არმიიდან რომ დაითხოვეს და აღარ იღებდნენ სამსახურში. გამოჯანმრთელების შემდეგ დადიოდა, ბევრი შეაწუხა, რომ როგორმე ისევ დაბრუნებულიყო სამხედროში, მაგრამ უარი უთხრეს. მერე იარაღი ჩაგვიდეს, თარხანი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს.

– ციხიდან რომ გამოვიდა, რას ამბობდა, რა გითხრათ?

– როგორც ჩანს, ამ ქვეყანას ჩემი თავი აღარ სჭირდებაო. არადა, სამხედროში მსახურობდა, რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილეობდა და რუსული მხარის ინფორმაციებს საქართველოს აწვდიდა. მაღალი სამხედრო პრაქტიკა ჰქონდა მიღებული. ამიტომ დაწინაურდა იქ... ჯერ კიდევ აქ როცა იყო, სამხედროში, იქიდან თავის ძმებს სასტიკად აფრთხილებდა: ფრთხილად იყავით, მაგ ვაჰაბიტების ორგანიზაციაში არ შეხვიდეთ, იცოდეთო. ეგ აფრთხილებდა თავის ძმებს და ბოლოს თვითონ მოხვდა. ადამიანს რომ სხვა გასაქანი აღარსად აღარ აქვს, რას იზამს? მაგას გასაქანი აღარსად დაუტოვეს, არ დაუტოვა ნაცმოძრაობამ.

– სირიაში ყოფნისას გეკონტაქტებოდათ?

– ერთხელ დამირეკა და ეგ იყო. მამა, არ ლოცულობო? როგორ არ ვლოცულობ- მეთქი. წინა დღეს გიორგობა იყო. მე ხომ ქრისტიანი ვარ და ჩვენს სალოცავში ვიყავი. სანთლები ავანთე და ღმერთს თქვენი თავი შევავედრე-მეთქი. ეგ რომ გაიგო, ტელეფონი გადააგდო. იმის შემდეგ აღარ დაურეკავს.

◆ ◆ ◆

დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერის თარხან ბათირაშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია პანკისის ხეობაში მცხოვრებმა მისი ოჯახის წევრებმა გუშინ დაადასტურეს და სამძიმარს იღებდნენ.

სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, თარხან ბათირაშვილი, იგივე აბუ ომარ ალ შიშანი, ერაყში, ქალაქ შირქათში ბრძოლის დროს იქნა მოკლული.

აშშ-ის დაზვერვის ყოფილი ოფიცრის პატრიკ სკინერის განცხადებით, შირქათს ქალაქ მოსულის დასაცავად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, შიშანი კი ტაქტიკური მეთაური იყო და ლოგიკურად ბრძოლის ეპიცენტრში უნდა ყოფილიყო.

შირქათი მოსულის სამხრეთით, დაახლოებით 100 კილომეტრში მდებარეობს. ერაყის ჯარებმა, აშშ-ის ავიაციის მხარდაჭერით, მას ივნისის ბოლოს შეუტიეს და რამდენიმე დღის წინ შირქათთან ახლოს, ქაიარის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ავიაბაზა აიღეს. „როიტერის“ ცნობით, ამჟამად ერაყის არმია ქალაქ მოსულის ასაღებად იბრძვის. მოსული ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქია, რომელსაც „ისლამური სახელმწიფო“ აკონტროლებს.

თარხან ბათირაშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია მანამდე 9-ჯერ გავრცელდა, მაგრამ „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერის დაღუპვას არც დაჯგუფება ადასტურებდა და პანკისის ხეობაში მცხოვრები მისი ნათესავებიც უარყოფდნენ.

13 ივლისს კი თარხან ბათირაშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერმა საინფორმაციო სააგენტო „ამაქმა“ გაავრცელა.

თარხან ბათირაშვილი 30 წლის იყო. „ისლამურ სახელმწიფოს“ ის 2013 წლის ზაფხულში შეუერთდა. მანამდე საქართველოში სამხედრო სამსახურში მსახურობდა. 2010 წელს მას ტუბერკულოზი დაუდგინეს და სამხედროდან გაათავისუფლეს, რის შემდეგაც უკანონო იარაღის აღმოჩენის ბრალდებით დააპატიმრეს. ბათირაშვილი 2 წლის განმავლობაში ციხეში იმყოფებოდა. ამნისტიის შედეგად ციხე სასჯელის ამოწურვამდე რამდენიმე თვით ადრე დატოვა და საქართველოდან მალევე წავიდა.

სირიაში ბათირაშვილის ყოფნას უკავშირებდნენ სამხრეთ კავკასიიდან, მათ შორის პანკისის ხეობიდან დიდი რაოდენობით ახალგაზრდების წასვლას. სირიაში ბრძოლების შედეგად უკვე 20 პანკისელი ახალგაზრდის გარდაცვალების შესახებ არის ცნობილი.

ნაციონალური მოძრაობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს უპირისპირდება

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრ ლევან ბეჟუაშვილის განცხადებით, 13 ივნისს საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში მომხდარი სტიქიის კვალზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნებულ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფის“ მონაწილეობით ფულის გათეთრებისა და მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრების დიდი ოდენობით დაუფლება-მისაკუთრების ფაქტი გამოვლინდა.

როგორც ბეჟუაშვილმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, „საქართველოს მთავრობამ, „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ“, სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფმა“ და შპს „ეი ბი კონსალტინგმა“ მოსახლეობის განზრახ შეცდომაში შეყვანის ხარჯზე, წინასწარ დაგეგმეს და შეიმუშავეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო სახსრების მითვისების სქემა, რაც სისრულეში მოიყვანეს დოკუმენტურად.

ბეჟუაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის განკარგულებით, შემუშავდა „აგროდაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამა, რომელიც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გაუმჭვირვალედ და ყოველგვარი კრიტერიუმების არსებობისა და საამისოდ წინასწარ შემუშავებული მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე, მიენიჭა სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფს“, ხოლო თანადაფინანსების მიზნებისათვის სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოიყო 14 მილიონ ლარზე მეტი.

– სადაზღვევო კომპანიამ დაბეჭდა სადაზღვევო პოლისები, ხოლო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ – სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პრემიის სუბსიდირების თაობაზე შეთანხმების ფორმები. 2015 წლის სექტემბერში მანავისა და კახეთის რეგიონის სოფლების მოსახლეობას პოლისებიც და ფორმებიც ხელმოსაწერად დაურიგდა.

მევენახეებისათვის მიცემული განმარტებისა და ხელშეკრულებაში მითითებული პირობის თანახმად, დაზღვევის პერიოდი მოიცავდა ერთ წელს დაზღვევის ხელშეკრულების/სადაზღვევო პოლისის გადაცემის დღიდან.

„აი სი ჯგუფის“ მიერ წინასწარ დამზადებული და დაბეჭდილი სადაზღვევო პოლისებში „მოსარგებლე 1“-ად შეყვანილი იქნა მევენახე, ხოლო „მოსარგებლე 2“-ად წინასწარ შეყვანილ იქნა შპს „ეი ბი კონსალტინგი“, ისე, რომ ხსენებულზე მევენახეებს არც თანხმობა განუცხადებიათ, არც მათ შესახებ ინფორმაცია არ ჰქონიათ, არც ინფორმაცია მიუწოდებიათ, თუ რა სტატუსის მატარებელი იყო სადაზღვევო პოლისში მათთან ერთად მითითებული „მოსარგებლე 2“, არც ხელშეკრულება და პოლისი შეიცავდა „მოსარგებლე 2“-ის სტატუსზე ახსნას და არც ის იცოდნენ, რა ვალდებულებები გააჩნდათ მათ „მოსარგებლე 2“-თან.

რეალურად, სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის წინაშე გარანტად წარდგენილმა კომპანიამ სასესხო ფინანსური ვალდებულებები ისე დააკისრა მოსახლეობას, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და რაც ყველაზე მთავარია, არ იცოდნენ სასესხო ურთიერთობის არსებითი პირობები (ვადა, პერიოდი, თანხის მოცულობა, გადახდის წესი, ფორმა, გრაფიკის განწერა და ა.შ).

სახელმწიფო სახსრების მითვისების მიზნით სოფლად მცხოვრები მოსახლეობა გამოყენებულ იქნა იარაღად საიმისოდ, რომ ცალკეულ პირებს მიეთვისებინათ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, ხოლო მოსახლეობა ენდობოდა მათ, ვინაიდან ნდობა გააჩნდათ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, მით უფრო, რომ „აგროდაზღვევა“ გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო პროგრამად და დოკუმენტების შედგენაში მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ სახელმწიფოს წარმომადგენლად.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს, მთავარმა პროკურატურამ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლონ „აგროდაზღვევის“ სპეციალური სახელმწიფო პროგრამის განხორციელების კანონიერების საკითხი, გამოავლინოს დანაშაულებრივი ჯგუფის ბრალეული პირები, მისცეს ისინი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში და დაეხმაროს სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას სადაზღვევო თანხების მიღებაში, – განაცხადა ლევან ბეჟუაშვილმა.

მედიანიუსი

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩევლებს მიმართა

მიმდინარე წლის 13 ივლისს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები 2016 წლის არჩევნებში ამომრჩევლების მონაწილეობის წესს არეგულირებს. ცვლილება ეხება ამომრჩევლებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან იქნენ მოხსნილები, ასევე ამომრჩევლებს, რომელთა რეგისტრაციაც იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა და მათ, ვინც რეგისტრირებულები არიან მისამართის მითითების გარეშე, – აცნობეს მედიანიუსს ცესკოდან.

უწყებაში განმარტავენ, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, ამ ტიპის ამომრჩევლები პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისთვის 2016 წლის 1 აგვისტომდე უნდა გამოცხადდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და გაიარონ რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან მიუთითონ მხოლოდ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი.

ცესკოში გამართულ საინფორმაციო ბრიფინგზე ცესკოს სპიკერმა ანა მიქელაძემ ზემოაღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებს მოუწოდა, დროულად გაიარონ რეგისტრაცია მიმდინარე წლის 31 ივლისის ჩათვლით, რაც მათ არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას მისცემს.

– აღსანიშნავია, რომ ისინი ისარგებლებენ გარკვეული შეღავათებით, მათ შორის, კონკრეტული კატეგორიის ამომრჩევლები გათავისუფლებულები იქნებიან მომსახურების გადასახადისგან; აღნიშნულის შესახებ დეტალურ ინფორმაციას მოქალაქეები უშუალოდ სააგენტოში მიიღებენ, – განაცხადა ანა მიქელაძემ საინფორმაციო ბრიფინგის ბოლოს.

მედიანიუსი



ირაკლი ალასანიამ პარტიის საარჩევნო სიის ოცეული დაასახელა

თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე ირაკლი ალასანიამ პარტიის საარჩევნო სიის ოცეული დაასახელა.

პირველი ოცეულის შემადგენლობა ასეთია: ირაკლი ალასანია, ვიქტორ დოლიძე, ნინო გოგუაძე, ზურაბ აბაშიძე, ირაკლი ჩიქოვანი, შალვა შავგულიძე, თამარ კეკენაძე, ალექსი პეტრიაშვილი, მაია ფანჯიკიძე, გიორგი ცაგარეიშვილი, თამარ ამაშუკელი, დავით ონოფრიშვილი, თამაზ შიოშვილი, ვახტანგ მჭედლიძე, თამარ კობერიძე, თეიმურაზ სალუქვაძე, ბენიამინ კასიმოვი, კოკა ფრუიძე, მიხეილ ავაქიანი, თინათინ რევაზაშვილი.

ირაკლი ალასანიას თქმით, აღნიშნული ადამიანები თავისუფალი დემოკრატების პარტიის ლოკომოტივი იქნება 2016 წლის არჩევნებისთვის.

– ჩვენ მზად ვართ, ჩვენი ისტორიული სიტყვა ვთქვათ. თავისუფალი დემოკრატები პირველად გავდივართ დამოუკიდებლად არჩევნებზე, – განაცხადა ალასანიამ.

16 ივლისს ირაკლი ალასანია – თავისუფალმა დემოკრატებმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები როგორც რეგიონების, ასევე თბილისის მასშტაბით თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში დაასახელეს.

თავისუფალი დემოკრატების თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები: ნიკოლოზ (კოკა) ფრუიძე, ვიქტორ დოლიძე, გიორგი ნუცუბიძე, ალექსი პეტრიაშვილი, დავით ონოფრიშვილი, შალვა შავგულიძე, დიმიტრი კორთხონჯია, თენგიზ ხეჩიკაშვილი, გიორგი გოგილაშვილი, ბესიკ ბერიძე, ნონა თოდუა, დავით ამაშუკელი, ზურაბ აბაშიძე, ლევან სამუშია, ლევან მელიქია, ზეზვა ნაცვლიშვილი, რამაზ გრიგალაშვილი, დევი ტაბიძე, ამირან გიგუაშვილი, ვახტანგ მაჭავარიანი;

რეგიონები: სიმონ ქოჩორაშვილი, ვახტანგ მჭედლიძე, დიმიტრი ზაქაიძე, ოთარ კვირიკაშვილი, ზურაბ ინგოროყვა, თეიმურაზ მენაფირე, გიგა მოლაშხია, ფატი მანჯგალაძე, ჯემალ ვანაძე, ისპანდერ ქერიმოვი, გიორგი სისვაძე, ვახტანგ ბეჟიტაშვილი, ალექსანდრე მსხალაძე, თამაზ შიოშვილი, თეიმურაზ მურადაშვილი, დიანა გელაშვილი, გიორგი ხაზარაძე, გია გუმბერიძე, ლელა ესებუა, ზურაბ მაჭავარიანი, მალხაზ ბაბლიძე, გერასიმე მუავანაძე, ფატი მანჯგალაძე (სამტრედია), თემურ გაფრინდაშვილი, ვალერი ჩეჩელაშვილი, გურამ ნაკანი, თეიმურაზ სალუქვაძე, თენგო ჩაკვეტაძე, ირინა თოფურია, ხვიჩა ჯიშკარიანი, ირაკლი ჩიქოვანი, ნუგზარ ვარშანიძე, ნინო ბერაძე.

ინტერპრესნიუსი

ნოდარ ნათაძე: „საქართველოში სამოქალაქო ომის საფრთხე არსებობს“

„ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ „ქართულ ოცნებაში“ მარტო 15 კაცს აქვს უნივერსიტეტი დამთავრებული“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს ხშირად საუბრობენ საქართველოს გახლეჩის საფრთხეზე. გამოითქმის შეშფოთება იმის თაობაზე, რომ არჩევნების შემდეგ ქვეყანა რუსეთისა და აშშ-ის გავლენის სფეროებად დაიყოფა. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, ყოფილი დეპუტატი ნოდარ ნათაძე ყურადღებას ამახვილებს რუსეთიდან და თურქეთიდან მომდინარე რისკებზე. თურქეთიდან არსებული საფრთხე არ უკავშირდება სამხედრო გადატრიალების მცდელობას.

ნოდარ ნათაძე:

– აშშ-სა და რუსეთს შორის გავლენის სფეროებად საქართველოს დაყოფა არ მოხდება. ძალთა შეფარდება ისეთია, რომ ეს ვერ განხორციელდება. დასავლეთი ამას არ დაუშვებს. არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ სხვა პროცესების მომსწრე გავხდეთ. საქართველოში სამოქალაქო ომი მწიფდება, თანაც, არა ისეთი ბუტაფორიული სამოქალაქო ომი, რომელიც 90-იან წლებში მოხდა, არამედ, უფრო მწვავე. მაშინ დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთი არ სძულდათ. ახლანდელი მოწინააღმდეგეები ერთმანეთისადმი სიძულვილით არიან განმსჭვალული.

– რომელ დაპირისპირებულ ჯგუფებზე საუბრობთ?

– ერთ მხარეს არიან ადამიანები, რომლებმაც ვერ ისწავლეს ინგლისური და კომპიუტერი. მათი ლოგიკა ასეთია – ვისაც კომპიუტერი და ინგლისური არ აუთვისებია, ის სამსახურს ვერ იშოვის, რაც ამერიკის ბრალია. ეს ხალხი რუსეთისკენ იყურება და მას რუსეთის იმედი აქვს. მეორე მხარესაა ის კატეგორია, რომელმაც მარტო ინგლისური და კომპიუტერი შეისწავლა და სააკაშვილის გუნდშიც შევიდა. ეს პირები ფიქრობენ, რომ სხვაზე უპირატეს მდგომარეობაში არიან და მუდმივად უნდა იბატონონ. ორივე ჯგუფი გაუნათლებელი და უხარისხოა. არსებობს მათი ერთმანეთთან დაპირისპირების რეალური საფრთხე.

– საზოგადოების სხვა ნაწილიც ხომ არსებობს?

– რა თქმა უნდა. არიან განათლებული და ქვეყანაზე მზრუნველი ადამიანებიც. ეს საზოგადოების უმრავლესობაა. ეს ადამიანები მარტო საკუთარ თავზე არ ფიქრობენ. მათ საქართველოს ინტერესებიც აღელვებთ.

– ამ დღეებში „ქართულმა ოცნებამ“ ახალი სახეები წარმოადგინა, რომლებიც საარჩევნო სიაში იქნებიან. მათზე რისი თქმა შეგიძლიათ?

– ჩემი რეაქცია ამაზე იყო სიცილი. ისე წარმოგვიდგინეს ეს ადამიანები და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს „ქართულ ოცნებაში“ მარტო ამ 15 ადამიანს აქვს უნივერსიტეტი დამთავრებული, ხოლო დანარჩენებს, რომლებსაც ასევე სიაში შეიყვანენ, უმაღლესი განათლება არა აქვთ. კარგი განათლება არ კმარა იმისთვის, რომ პოლიტიკაში მოხვიდე. ამისათვის დიდი სურვილი, მზადყოფნა და ქვეყნისთვის ძალისხმევის გაწევის უნარია აუცილებელი. ამ ახალგაზრდების წარმდგენს, გიორგი კვირიკაშვილს, არ გაუმახვილებია ყურადღება დეპუტატობის კანდიდატების პიროვნულ თვისებებზე. მაგალითად, ვინ ერთგულია, ვინ – აქტიური და ა.შ. არადა, პოლიტიკაში ამას მნიშვნელობა აქვს.



– რისთვის გახდა საჭირო ახალი სახეების შემოყვანა?

– მიზანი ასეთია – ხალხის თვალში „ქართული ოცნების“ სახის კაპიტალური რემონტი. ყოველ შემთხვევაში, იყო ამის მცდელობა, მაგრამ გამოვიდა კოსმეტიკური რემონტი.

– რატომ? უცნობი ადამიანები არიან?

– პირადად მხოლოდ ერთ მათგანს ვიცნობ, მეორის ოჯახი ვიცი. თამარ ჩუგოშვილი დაახლოებით ორი წლის განმავლობაში ჩემი მეზობელი იყო, მასთან მისაუბრია და მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ირაკლი კობახიძის მამა, გიორგი, დიდი ხნის განმავლობაში საქმიანობდა პოლიტიკაში. მას დადებითად ვახასიათებ. ირაკლი კობახიძეს ჰყავს კარგი დედა და უკეთილშობილესი პაპა დედის მხრიდან. ამ ორ ადამიანზე შემიძლია რაღაცის თქმა, თუმცა, სურათის დასასრულებლად ესეც არ კმარა. მით უმეტეს, ვერაფერს ვიტყვი იმათზე, ვისი გვარიც პირველად გავიგე წარდგენაზე.

– ამომრჩეველი რას იტყვის ამ საკითხზე?

– რიგითმა ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ ამ ახალ სახეებს საარჩევნო სიის ბოლოში მოათავსებენ, წინ კი ნაცნობ ძველებს ჩასვამენ.

– გავლენის ზონებად საქართველოს დანაწილებას გამორიცხავთ?

– ეს შეიძლება გააკეთონ ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმა. რუსეთი ჩვენი მტერი და მეზობელია. გარდა ამისა, ხიფათი გველის თურქეთისგან. თურქეთიდან დიდი ხანია, შეტევითი ტენდენციები მოდის. ამ სახელმწიფომ კარგა ხანს ატრიალა ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის თემა. ეს საკითხი დღის წესრიგიდან ახლაც არ მოხსნილა. თურქეთმა სააკაშვილის ხელშეწყობით მოახდინა ბათუმის კოლონიზაცია. ამ ქვეყნის პოლიტიკური ფიგურების მხრიდან ისმის სახიფათო რიტორიკა.

რუსეთი და თურქეთი უმჭიდროესი მოკავშირეები არიან. მოსალოდნელია მათი კიდევ უფრო დაახლოება. ორივე სახელმწიფოსათვის იდეალურია საქართველოს დანაწილება. მათ უნდათ დაინაწილონ ჩვენი ქვეყანა ოკუპირებულ ან გავლენის ზონებად. მანამდე მათთვის ხელსაყრელია სამოქალაქო ომი.

– ამის საწინააღმდეგოდ ზომებია მისაღები?

– ჩვენ გვაქვს ინიციატივა: უნდა მივიღოთ კანონი ასეთი ფორმულირებით – მოველით, ვიმედოვნებთ ნატოსგან დახმარებას, მაგრამ არა ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების ხელით. არაა დასავიწყებელი ისტორია. უნდა გვახსოვდეს, რომ 1921 წელს რუსეთი და თურქეთი ერთად იყვნენ. რუსეთის სარდლობა ორივე ქვეყნის ხმლებსა და ხიშტებს ერთად ითვლიდა.

ჩემი ბლოკი ერთ-ერთია, სადაც გამოქვეყნდა ეროვნული ძალების საგარეო პოლიტიკის კონცეფცია. ამ 34-გვერდიან ნაშრომში ჩვენს თავს უფლება მივეცით, ყველაფრისთვის კუთვნილი სახელი დაგვერქმია. იქ ამ საკითხებზეცაა საუბარი. სხვათა შორის, თურქეთში პოპულარულია კონცეფცია თურქეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთმიმართების შესახებ. მისი არსი ასეთია: ბირ მილეთ-იქი დევლეთ ანუ 1 ხალხი, 2 სახელმწიფო. ეს ადასტურებს იმას, რომ თურქეთს საქართველო აზერბაიჯანზე გასასვლელ დერეფნად უნდა. ეს პოზიცია რუსეთსაც ხელს აძლევს.

„გოდერძის უღელტეხილზე ასფალტი სტალინის დროიდან აღარ დაგებულა“

გერმანიის ბადენ-ვიურტემბერგის მხარის გაზეთ „ზიუდვესტ პრესში“ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია გერმანელი ავტოტურისტების მონაწილეთა შთაბეჭდილებები, რომლებიც 10 მაისს საქართველოში თურქეთიდან შემოვიდნენ (ავტორი – პატრიკ ცვერგერი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

გერმანელ მოგზაურებს კარგი შთაბეჭდილებათ შეექმნათ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის დროს: „მესაზღვრეები თავაზიანად მოგვექცნენ“.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ავტოტურისტებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ ბათუმში ავტომანქანების დაზღვევის რეგისტრირებასთან დაკავშირებით. იყო აგრეთვე კომუნიკაციის პრობლემაც.

– ინგლისური ენა ჯერ კიდევ ცოტამ იცის, რომ არაფერი ვთქვათ გერმანულზე, – წერს ავტორი.

საბოლოო ჯამში, ბათუმში ყველა საკითხი მოგვარდა („იგრძნობოდა, რომ ქართველები ჩვენზე ზრუნავდნენ“) და გერმანელმა მოგზაურებმა გეზი თბილისისაკენ აიღეს, მაგრამ ტრადიციული შავიზღვისპირა ავტომაგისტრალით კი არა, არამედ აჭარის მთების, გოდერძის უღელტეხილისა და ახალციხის გავლით.

– რუკებზე აღნიშნულია, რომ ეს გზა სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე მთავარ გზას წარმოადგენს. ალბათ იმიტომ, რომ ამ მთიან რეგიონში სხვა გზა არ არსებობს, ეს ერთადერთია. დასაწყისში არა უშავდა რა, მშვიდი, წყნარი სოფლები ნორმალურად გავიარეთ, მაგრამ რაც უფრო ზემოთ მივიწევდით, გზის მდგომარეობა უარესდებოდა. უკვე ზღვის დონიდან ორ კილომეტრზე ვართ. გზა დანგრეულია.

როგორც ჩანს, ასფალტის საფარი აქ, ალბათ, იოსებ სტალინის დროიდან აღარ დაგებულა, მხოლოდ ხრეში და ტალახი. ჩვენი „ვოლვო“ უგზოობას ებრძვის... ირგვლივ მთებია. ულამაზესი პეიზაჟი დაისისაკენ გადახრილი მზის ოქროსფერი სხივების ფონზე. რა ლამაზი ქვეყანაა, რა თვალწარმტაცი სივრცე... მაგრამ გაჩერებისთვის დიდი დრო არ გვაქვს, სანამ დაბნელდება, გზა უნდა გავიაროთ. ახალციხეში ნორმალურად ჩავედით, პირველივე სასტუმროში ნომრები დავიკავეთ და რესტორანში შევედით. რესტორნის მუშაკები კეთილი ღიმილით შეგვეგებნენ. დავაგემოვნეთ ქართული ღვინო... სასიამოვნო გარემოა. ეს ქვეყანა თავის შანსს კარგად იყენებს. საქართველო ძალიან მოგვწონს, – ასეთი შეფასებაა მოცემული გერმანელ ავტოტურისტთა შთაბეჭდილებებში.

ნიუსპრესი

„2008 წელს დასავლეთის მოქმედებამ რუსეთის რეჟიმი განამტკიცა“



შვედურ გამოცემა „Svenska Dagbladet“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გაანალიზებულია რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების მიზეზები, რომელიც განსაკუთრებით ბოლო წლებში გამძაფრდა. მასში გადმოცემულია კონფრონტაციის არსი და გაკეთებულია დასკვნა, რომ დასავლეთი რუსეთთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან შეცდომებს უშვებს (ავტორი – სტეფან ჰედლუნდი, უფსალის უნივერსიტეტის პროფესორი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

დასავლეთის ლიდერები საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელების დროს მთავარ მიზნად თვლიან, რომ სხვა ხალხებმა მათი ღირებულებები უნდა გაიზიარონ. ევროპაში იმიგრაციული კრიზისი იმ მიზეზითაც გაჩნდა, რომ დასავლელი პოლიტიკოსები თავიანთი ნაბიჯის გადადგმისას ამ პრინციპში ეგზომ თავდაჯერებულნი იყვნენ და სხვა ხალხების ინტერესებს და (ტრადიციებს) ყურადღებას არ აქცევდნენ. შესაბამისად, ასეთ პოლიტიკას, დასავლელების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, რუსეთის ნგრევა კი არ გამოუწვევია, არამედ პირიქით, ქვეყანა კიდევ უფრო მეტად განამტკიცა.ცნობილი ამერიკელი დიპლომატი ჯორჯ ქენანი ჯერ კიდევ 1985 წელს აფრთხილებდა დასავლურ საზოგადოებას, თუ რა ხიფათი იმალება ისეთ პოლიტიკაში, როცა საგარეო კურსის გატარებისას უპირატესობა ღირებულებების გაზიარებას ეძლევა.

ბოლოდროინდელმა პროცესებმა კი სწორედ ჯორჯ ქენანის აზრი დაადასტურა: როცა საქმე ეროვნულ ინტერესებს ეხება, საერთო ღირებულებები უკანა პლანზე გადადის. „ინტერესთა კონფლიქტებსა და ღირებულებების კონფლიქტებს შორის ფუნდამენტური განსხვავება იმაშია, რომ პირველი მოლაპარაკებებით წყდება, მეორე კი, რომელიც თავიდანვე პრინციპს – „მე მართალი ვარ, შენ კი მტყუანი“ – ემყარება, მოლაპარაკებით ძალიან იშვიათად თუ შეიძლება მოგვარდეს.

უკრაინის შემთხვევაში რუსეთის პოზიცია მუდმივი იყო – საქმე ინტერესთა კონფლიქტს ეხება და, შესაბამისად, აუცილებელია შეხვედრა და მოლაპარაკებაო, დასავლეთი კი კიევისა და მოსკოვის დაპირისპირებას ღირებულებების კონფლიქტად თვლიდა და აცხადებდა, რომ მასში რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო. მოვლენები დასავლეთის სურვილის საწინააღმდეგოდ განვითარდა. ომმა უკრაინას აურაცხელი ზარალი მიაყენა, მოსკოვმა კი ეკონომიკური სანქციები მიიღო, რითაც „დასავლეთმა მოსკოვს საკუთარი მორალური უპირატესობა აგრძნობინა“. თუმცა რად გინდა – კრემლს, პრინციპში, ერთი ნაბიჯითაც უკან არ დაუხევია, სანქციებს კი ისეთი პირი უჩანს, რომ მათ დასავლეთი თვითონვე გააუქმებს, – აღნიშნულია სტატიაში.

შვედურ მასმედიაში გავრცელებული აზრი, რომ რუსეთის ხელისუფლების მოქმედება საკუთარ სახელმწიფოს ვნებსო, არასწორია: პროფესორი სტეფან ჰედლუნდი ასკვნის, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში რუსეთის პოლიტიკა წარუმატებელი ნამდვილად არ არის:

– საქართველოსთან მომხდარმა ომმა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება შეაჩერა. მე დარწმუნებული ვარ, რომ (თუ ნატო უკრაინის კონფლიქტში ჩაერევა), ეს ალიანსს კრახამდე მიიყვანს, რუსეთი კი წამყვან როლს დაიბრუნებს. სირიაში რუსეთმა ბაშარ ასადი გადაარჩინა, ამერიკელები კი მოლაპარაკებაზე აიძულა. დასავლეთის მიერ გამოცხადებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა კი, ერთი მხრივ, რუსეთის რეჟიმი განამტკიცა, მეორე მხრივ კი გააძლიერა ეჭვი („ცეცხლზე ნავთი დაასხა“) შეთქმულების თეორიაზე, რომ დასავლეთი მართლაც ოცნებობს რუსეთის დაჩოქებაზე. მოკლედ, ძნელი წარმოსადგენია, რომ დღეს ვლადიმირ პუტინი და მისი გარემოცვა, წარმატებების გარდა, სხვა რამეს ხედავს. ასე რომ, აი ჩემი დასკვნითი კითხვა: რას მიაღწია დასავლეთმა, მორალური უპირატესობის გარდა? – წერს პროფესორი.

ნიუსპრესი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბაბონი ქეთათო

თურქეთი: როგორ ჩაიშალა სამხედრო გადატრიალება

ერდოღანი გიულენის გადაცემას ითხოვს

15 ივლისს, ღამით, ანკარისა და სტამბოლის ქუჩებში სამხედრო ტექნიკა გამოჩნდა.

23 საათზე პუტჩისტებმა დაიკავეს ერთ-ერთი ტელეკომპანიის შენობა და აიძულეს ტელეწამყვანი, ეთერში სპეციალური მიმართვა გადაეცა.

მასში ნათქვამი იყო, რომ თურქეთის ხელისუფლებამ დაარღვია კონსტიტუცია, რომ ქვეყნის საერო მოწყობას საფრთხე შეექმნა და ა.შ. ამიტომ სამხედროები ძალაუფლებას ხელში იღებენ, რათა დაიცვან თურქეთის დემოკრატია და ქვეყნის საერო მოწყობა.

ასე დაიწყო პუტჩი.

ანკარის მერმა მოსახლეობას ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდა. პარალელურად მეორე ტელეარხით ერდოღანის მიმართვაც გავრცელდა. პრეზიდენტი შეცბუნებული გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, მან ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა.

– არა ძალადობას! მოგიწოდებთ, არ დაუშვათ ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა! – განაცხადა ერდოღანმა.

მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა.

პუტჩისტებმა აეროპორტ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა, ცეცხლი გაუხსნეს ქუჩაში შეკრებილ ერდოღანის მომხრეებს.

სამთავრობო ჯარებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს.

ანკარისა და სტამბოლის ქუჩებში ნამდვილი ომი გაიმართა.

* * *

პუტჩის დაწყებიდან რამდენიმე საათში საერთაშორისო გამოხმაურებებიც გამოჩნდა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ პუტჩი კატეგორიულად დაგმო.

– ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა მიუღებელია, – თქვა ობამამ.

თურქეთში გადატრიალების მცდელობა დაგმეს რუსეთის პრემიერმა მედვედევმა, გერმანიის კანცლერმა მერკელმა, საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა, უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ და ა.შ.

* * *

თურქეთის კონტრდაზვერვის ცნობით, გადატრიალება თურქეთის არმიის საშუალო რგოლმა მოაწყო, არმიის ზედა ფენა კი პრეზიდენტისადმი ლოიალური დარჩა. პუტჩისტების მეთაურებს შორის სახელდებიან პოდპოლკოვნიკი კიოსე, პოლკოვნიკი დიუგანი და ა.შ. გადატრიალების ძირითადი ორგანიზატორი თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი გენერალი აზთიურქი იყო.

გიულენი: „პუტჩი თავად ერდოღანმა მოაწყო“

პრეზიდენტმა ერდოღანმა პუტჩის ორგანიზატორად აშშ-ში მცხოვრები მწერალი და რელიგიური მოღვაწე ფეთჰულა გიულენი დაასახელა.

– მოვითხოვთ მის თურქეთისთვის გადაცემას, – თქვა ერდოღანმა.

ფეთჰულა გიულენი (დაბ. 1941 წ.) ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თურქი მოღვაწეა. თავის დროზე მისი ქადაგებები უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ოდესღაც ერდოღანი და გიულენი თანამებრძოლები იყვნენ. შემდგომში მათი გზები გაიყარა. გიულენი იძულებული გახდა, თურქეთი დაეტოვებინა და ამერიკაში გადახვწილიყო.

მან ერდოღანის ბრალდების პასუხად პუტჩის ორგანიზებაში მისი თანამონაწილეობის საკითხის გამოძიება საერთაშორისო ორგანიზაციას სთხოვა.

გიულენის განმარტებით, თუ მას აღნიშნული მოვლენების ორგანიზებაში ადანაშაულებენ, საერთაშორისო ორგანიზაციას მოუწევს დაამტკიცოს სახელმწიფო გადატრიალებაში მისი თანამონაწილეობა.

– საერთაშორისო ორგანიზაციის ნებისმიერ შედეგს დავეთანხმები, თუნდაც ეს ტყუილი იყოს ან ფულის საშუალებით მოსყიდული. ნებისმიერი შედეგი მისაღები იქნება. მხოლოდ ვითხოვ, გამოძიება საერთაშორისო ორგანიზაციამ ჩაატაროს, – განაცხადა ფეთჰულა გიულენმა.

მანვე მიუთითა, რომ პუტჩი პრეზიდენტ ერდოღანის მიერაა ინსპირირებული.

– ასეთი მეთოდებით ერდოღანი ცდილობს, თავისი ავტორიტარული რეჟიმი განამტკიცოს და ოპონენტებს გაუსწორდეს, – თქვა გიულენმა.

* * *

თავდაპირველად პუტჩისტებს თითქოს უმართლებდათ.

მათ შეძლეს ერთ-ერთი ტელეკომპანიის ხელში ჩაგდება და ეთერში თავიანთი მიმართვა გადასცეს. საზოგადოებაშიც დაბნეულობამ დაისადგურა.

ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც სტამბოლის აეროპორტში ერდოღანის თვითმფრინავი დაჯდა, ხოლო პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართა. ცხადი გახდა, რომ არმიის უმრავლესობა მხარს ერდოღანს უჭერდა.

შემობრუნებაც აქედან დაიწყო.

პუტჩის მარცხის მეორე სერიოზული მიზეზი იყო ის, რომ საზოგადოება მას მტრულად შეხვდა. თვით ერდოღანისადმი ოპოზიციურად განწყობილმა თურქეთის რესპუბლიკურმა პარტიამაც ასეთი განცხადება გაავრცელა:

– თურქეთის ისტორიაში სამხედრო გადატრიალებები უკვე იყო და ამან ქვეყანას მხოლოდ ზიანი მოუტანა.

თურქეთის არმიამ პუტჩისტებს მხარი არ დაუჭირა. თურქული საზოგადოება (მათ შორის ერდოღანის ოპონენტებიც) პუტჩის წინააღმდეგ გამოვიდა, საერთაშორისო საზოგადოებამ ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა დაგმო.

ყველაფერმა ამან გადატრიალების მარცხი განაპირობა.

* * *

თურქეთის პრემიერმა ილდირიმმა განაცხადა, რომ პუტჩის შედეგად დაღუპულია 265 ადამიანი, აქედან 161 სამოქალაქო პირია. დაშავებულთა რაოდენობამ 1.440 მიაღწია. პუტჩისტებიდან დაკავებულია 2.840 სამხედრო, სულ კი დაკავებულთა რაოდენობა 6 ათასს აღწევს.

გადატრიალება თურქეთში ჩაიშალა, თუმცა მომხდარი უდავოდ იქონიებს გავლენას პოლიტიკურ ძალთა განლაგებაზე თურქეთში.

ეგვიპტემ გაეროში თურქეთის პუტჩის განხილვა დაბლოკა

გაეროს უშიშროების საბჭოზე თურქული პუტჩი განიხილეს.

აშშ-ის წარმომადგენელმა დამსწრეთ შესთავაზა, მიეღოთ დოკუმენტი, სადაც ნათქვამია, რომ დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას ყველამ პატივი უნდა სცეს.

ეგვიპტის წარმომადგენელი ამ დოკუმენტის მიღებას შეეწინააღმდეგა.

– არავის აქვს უფლება შეაფასოს, მთავრობა დემოკრატიულადაა არჩეული თუ არა, – განაცხადა მან.

დოკუმენტიც ვერ მიიღეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

მკურნალობა

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

●სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში – გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

დინამო ერევანში გაემგზავრა

თბილისის დინამო უეფას მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის საპასუხო მატჩისთვის ემზადება. იურაი იარაბეკმა ფეხბურთელები დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ერევანში წასვლამდე ავარჯიშა. რა მონახაზს გეგმავს სლოვაკი სპეციალისტი და რას აპირებს განმეორებით მატჩში, ამას უშუალოდ მოედანზე დავინახავთ.

გუშინ კი გუნდი სომხეთის დედაქალაქში სრული შემადგენლობით გაემგზავრა. მათ შორის არის უჩა ლობჟანიძეც, რომელმაც პირველ მატჩში ტრავმა მიიღო.

საპასუხო მატჩის წინ დინამოს ძველ ახალწვეულს, ვლადიმერ დვალიშვილს ვესაუბრეთ, რომელმაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ისევ მოირგო დინამოს მაისური.

ვლადიმერ დვალიშვილი:

– რამდენიმე ევროპულ კლუბში ვითამაშე და ასეთი პირობები არსად მინახავს. ამოცანაც დაგვისახეს – მაქსიმუმი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლაა, მინიმუმი – ევროპის ლიგის ჯგუფში.

ალაშკერტთან პირველი ტაიმი არ გამოგვივიდა, მეორე უკეთ ჩავატარეთ და კარგი ფორით მოვიგეთ. თუმცა, შეიძლებოდა სხვაობა მეტიც ყოფილიყო – ერთი შანსი მეც მქონდა... ალაშკერტი დაუძლეველი გუნდი არ არის, მაგრამ მოწინააღმდეგე ბოლომდე უნდა დავაფასოთ.

განმეორებითი მატჩი ერევანში 19 ივლისს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ თბილისურ შეხვედრაში დინამომ ოთარ კიტეიშვილისა და გიორგი ქვილითაიას გოლებით 2:0 დაამარცხა მეტოქე.

ცნობილი გახდა ამ წყვილში გამარჯვებული გუნდის მომავალი სავარაუდო მეტოქეც. შვეიცარიის ქალაქ ნიონში გამართულ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრისას გაირკვა, რომ დინამო-ალაშკერტის წყვილში გამარჯვებული გუნდის მეტოქე დინამო ზაგრები-ვარდარი სკოპიეს წყვილში გამარჯვებული გუნდი იქნება.

გეტყვით იმასაც, რომ ზაგრების დინამომ სკოპიეში დაამარცხა ვარდარი ანგარიშით 2:1. ასე რომ დიდი შანსი შემდეგ ეტაპზე ორი დინამოს ჯახი ვიხილოთ. პირველი მატჩი 26-27 ივლისს გაიმართება (ზაგრები ან სკოპიე), საპასუხო კი – 2-3 აგვისტოს (თბილისი ან ერევანი).

საქართველოს ნაკრები სლოვენიაში წვალებით ჩავიდა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები უკვე სლოვენიაშია და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის იწყებს მზადებას. ილიას ზუროსის გუნდი წვალებით ჩავიდა შეკრების ადგილზე, რადგან თურქეთში განვითარებული მოვლენების გამო, მთელ მსოფლიოში საჰაერო მიმოსვლა შეფერხებით მიმდინარეობდა და თითქმის ყველა რეისი იგვიანებდა.

ჩვენები მოსკოვიდან ჯერ ზაგრებში ჩაფრინდნენ, შემდეგ კი ავტობუსით გეზი სლოვენიისკენ აიღეს.

მეოთხე წელია, საქართველოს ნაკრები სლოვენიის დაბა პოტჩეტრტეკში ემზადება. აქ არსებული სასტუმრო კომპლექსი და სპორტული დარბაზი შეკრების გასავლელად ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

საქართველოს ნაკრების წევრებმა ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ დაისვენეს, ხოლო საღამოს მსუბუქად ივარჯიშეს. ეს უფრო მოთელვითი ხასიათის ვარჯიში გახლდათ, რომელზეც მხოლოდ ფიზიკური მომზადება – ეგრეთ წოდებული გაწელვები და ბურთის სროლა განხორციელდა.

საქართველოს 20 წლამდელთა ნაკრები მონტენეგროსთან დამარცხდა

საბერძნეთში მიმდინარე ევროპის 20 წლამდელთა ჩემპიონატის ბ დივიზიონის ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი საქართველოს ნაკრებმა ჩერნოგორიელ თანატოლებთან ჩაატარა და 55:78 დამარცხდა.

მატჩი დავით ლომიძემ ორი ზუსტი სამქულიანი სროლით გახსნა. საწყის 5 წუთში ქართველებმა მეტოქეს აჯობეს და 10:7 დაწინაურდნენ, თუმცა პირველი მეოთხედის მეორე ნახევარში ჩერნოგორიელებმა იძალეს და 1 ქულის სხვაობით მოიგეს – 16:15.

მეორე მეოთხედი მონტენეგროელებმა უკეთესად ჩაატარეს, ქართველების შეცდომების წყალობით მონტენეგროელებმა არაერთხელ მოათავსეს ბურთი კალათში და უპირატესობა საგრძნობლად გაზარდეს – 25:17. ერთადერთი რაც ჩვენებმა მოახერხეს, ის იყო, რომ 3 წუთი დიდებულად ჩაატარეს და უკვე თავად დაწინაურდნენ – 30:27. თუმცა, ეს იყო ჩვენების მაქსიმუმი. პირველი ტაიმის ბოლომდე მარაგს მხოლოდ 2 ქულა შემატეს და დიდ შესვენებას სოლიდური ჩამორჩენით შეხვდნენ – 32:43.

ეს უპირატესობა ბალკანელებმა კიდევ გაზარდეს და მესამე პერიოდის ბოლოს უკვე 15 ქულით იგებდნენ. ქართველებმა ვერც უკანასკნელ მეოთხედში შეძლეს მატჩში გადამწყვეტი ცვლილებების შეტანა და საბოლოოდ 55:78 დამარცხდნენ.

საქართველოს 20 წლამდელთა ნაკრები მორიგ მატჩს მაკედონიის 20 წლამდელთა ნაკრებთან გამართავს.

კანტე ჩელსიში გადავიდა

გასული საფეხბურთო სეზონის აღმოჩენის, საფეხბურთო კლუბ ლესტერის ერთ-ერთმა ლიდერმა ნგოლო კანტემ ჩელსისთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახალი სეზონიდან ლონდონელთა ღირსებას დაიცავს.

ტრანსფერის ღირებულება არ გახმაურებულა, თუმცა ინგლისური პრესა იუწყება, რომ ლესტერი ფრანგი საყრდენის სანაცვლოდ 30 მილიონ გირვანქას მიიღებს.

კანტემ გასულ სეზონში პრემიერლიგის 37 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და სეზონის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრებთან ერთაც ვერცხლის მედლები დაისაკუთრა.

კანტეს გარეშე ჩელსის მთავარ მწვრთნელ ანტონიო კონტეს დებიუტი წარუმატებელი გამოუვიდა. „არისტოკრატებმა“ სეზონისწინა მზადების პროცესში პირველი ამხანაგური შეხვედრა ვენის რაპიდთან 0:2 წააგეს.

ახალი ფეხბურთელების ძიებაშია მანჩესტერ სიტის ახალი მწვრთნელი პეპ გვარდიოლა, რომელმაც თვალი ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების და პსვ-ს მეკარე იერუნ ზუტს დაადგა. ინგლისური მედიის ცნობით, „ქალაქელების“ ახალმა მწვრთნელმა ჰოლანდიელის ტრანსფერი მოითხოვა, რომლის სანაცვლოდ მანჩესტერელები 7 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიან.

სიტელთა მეკარე ჯო ჰარტი კი, დიდი ალბათობით, ან მეორე ნომერი მეკარე გახდება, ან სხვა კლუბში გადავა. ინგლისის ნაკრების მეკარე სიტიში ბოლო 6 სეზონის განმავლობაში თითქმის შეუცვლელი იყო.

25 წლის ზუტი პსვ-ს მთავარ გუნდს 2009 წლის ივლისში შეუერთდა. ორი წლის შემდეგ ერთი სეზონით ვალვაიკში იყო განათხოვრებული და მას შემდეგ ჰოლანდიური გრანდის პირველი მეკარეა. გასულ სეზონში იერუნმა ჩემპიონთა ლიგაზე კარგად ითამაშა და შემდეგ „ნარინჯისფერების“ რიგებშიც ჩაატარა შეხვედრები.

კიდე ერთი მანჩესტერული კლუბი, იუნაიტედი, მადრიდის რეალის ნახევარმცველ ხამესის შეძენით ინტერესდება.

რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი გუნდს ესტუმრა და 2016-17 წლის სეზონში წარმატება უსურვა. ესპანელი პრეზიდენტი ზიდანს ესაუბრა და მის კომპეტენციაში ჩარევაც გადაწყვიტა.

პერესმა ზიზუს დავალება მისცა, რომელიც უნდა შესრულდეს. პრეზიდენტს სურს, რომ მარტინ ოდეგაარმა გეზი მთავარი გუნდისკენ აიღოს, ამიტომ ზიზუს სთხოვს, რომ ნორვეგიელი ფეხბურთელი მთელი პრესეზონის განმავლობაში მთავარ გუნდთან ერთად იყოს და ყველა ქვეყანაში გაჰყვეს, სადაც გუნდი სეზონის დაწყებამდე გაემგზავრება.

პერესი თვლის, რომ ოდეგაარი უკვე იმ ასაკშია, როდესაც სერიოზული განვითარება უნდა შეძლოს.

კალეიდოსკოპი

ჯეიმს კემერონი ტურისტებს ახალ ზელანდიაში ეპატიჟება

ფილმების „ავატარისა“ და „ტიტანიკის“ რეჟისორმა ჯეიმს კემერონმა სარეკლამო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ახალ ზელანდიაში ტურიზმს მიეძღვნა. ვიდეორგოლის ნახვა კინორეჟისორისა და მისი მეუღლის მონაწილეობით იუთუბიზეა შესაძლებელი.

წყვილმა კუნძულზე ოთხი დღე გაატარა, დაათვალიერა ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები. კერძოდ, ისინი იყვნენ მყინვარ ტასმანსა და ტბა პუკაკიზე.

ოთხი წლის წინ ახალი ზელანდია კემერონისთვის მეორე სახლად იქცა. ის ველინგტონიდან ჩრდილოეთით მდებარე სანაპიროზე ცხოვრობს. სხვათა შორის, კემერონი პირველი კინემატოგრაფისტი არ არის, რომელიც ახალ ზელანდიასა და ადგილობრივ კომპანიებს უწევს რეკლამას. 2014 წელს ტრილოგია „ჰობიტის“ მსახიობები და რეჟისორი პიტერ ჯექსონი გადაიღეს ავიაკომპანია ეირ ნეუვ ზელანდის სარეკლამო რგოლში.

50-ს გადაცილებულმა მოდელებმა თანატოლებს ბიკინიში ფოტოსესიისკენ მოუწოდეს

ბრიტანელმა მოდელებმა ჯილი ჯონსონმა (62 წლის) და ნიკოლა გრიფინმა (56 წლის) ბიკინებში გამოწყობილებმა გადაიღეს ფოტოსურათები და სოციალურ ქსელებში გაუშვეს ხეშტეგი, რომელშიც ისინი თავიანთ თანატოლებს მოუწოდებენ, მათ მიბაძონ, რათა ამით საკუთარი თავის რწმენა განიმტკიცონ.

კამპანია ბიკინი სელფი ბრიტანულმა მარკამ ჯდ უილიამსმა წამოიწყო. მანამდე ბრენდმა ჩაატარა გამოკვლევა, რომლის შედეგებმაც გვაჩვენა, რომ ქვეყნის მცხოვრებ ქალთა მხოლოდ ოთხი პროცენტი, რომელთა ასაკი 50 წელს აღემატება, დარწმუნებულია საკუთარ გარეგნობაში და ფიქრობს, რომ საცურაო კოსტიუმში გადაღებული საკუთარი ფოტოსურათის გამოქვეყნება შესაძლებელია.

– მოდურ ინდუსტრიას გამუდმებით აკრიტიკებენ ე.წ. რეალური ქალის იგნორირებისთვის. ნიკოლისა და ჯილის, ასევე კამპანია ბიკინი სელფის დახმარებით გვსურს, საკუთარი თავის რწმენა ჩავუნერგოთ ქალებს, მიუხედავად მათი ასაკისა და სხეულის აგებულებისა, – განმარტა კომპანიის წარმომადგენელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დაობლებულ ხის კენგურუს ახალი სახლი აქვს

დაობლებულმა ავსტრალიურმა ხის კენგურუმ სინგაპურში ახალი სახლი და მეგობარი იპოვა.

მაკაიამ – მამრმა კენგურუმ სახელი 2014 წელს გაითქვა. მისი დედა მოულოდნელად მოკვდა, როდესაც ის სულ შვიდი კვირის იყო. ადელაიდის ზოოპარკის თანამშრომლები გაკვირვებულნი დარჩნენ, როდესაც პატარაზე ზრუნვა ყვითელფეხება კლდის ვოლაბმა იკისრა. მაკაია ვალაბის ჩანთაში ცხოვრობდა, სანამ არ წამოიზარდა, შემდეგ კი ის ერთ-ერთმა ზედამხედველმა აიყვანა.

ახლა კი ხის კენგურუ სინგაპურის ზოოპარკში დაბინავდა. მან უკვე გაიარა ყველა აუცილებელი სამედიცინო შემოწმება. ახალ ბინაში მაკაია მდედრ კენგურუსთან, ნუპელასთან ერთად იცხოვრებს, რომელიც სინგაპურის ზოოპარკში სიდნეიდან გადაიყვანეს.

შედეგები

16 ივლისი

ფეხბურთი

ჰოლონეთი. ექსტრაკლასი

რუხი-ლეჩნა	2:1
ვისლა-პოგონი	2:1
ლეგია-იაგელონია	1:1

უკრაინა. სუპერთასი

შახტარი-დინამო	1:1(3:4პ)

დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-ლუნგბიუ	3:0

შვედეთი-აღსვენსკა

ნორჩიოპინგი-ესტერსტუნდი	3:3
სუნდსვალდი-ჰელსინბორგი	0:2

ნორვეგია. ტიპელიგა

ჰაუგესუნდი-ვიკინგი	4:1
ალესუნდი-რუსენბორგი	1:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

კემი-კუუპიო	0:2

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ძიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

კალეიდოსკოპი

მუზეუმში ქალმა 116 ათას დოლარად ღირებული „კროსვორდი“ შეავსო

გერმანიის ქალაქ ნიურნბერგის ხელოვნებისა და დიზაინის მუზეუმის ხანდაზმულმა დამთვალიერებელმა ხელოვნების ნიმუში ჩვეულებრივ კროსვორდად მიიჩნია და ჩვეულებრივი ბურთულიანი კალმით შეავსო.

91 წლის ქალბატონი ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა ექსკურსიაზე, როდესაც არტობიექტის გვერდით შენიშნა წარწერა „ჩასვით სიტყვა“. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს ხანდაზმულმა ქალბატონმა განუმარტა, რომ წარწერა მოქმედების სახელმძღვანელოდ მიიჩნია და „კროსვორდი“ ამოხსნა.

დანიელი ავანგარდისტი მხატვრის არტურ კეპკეს ნამუშევარი, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებშია შექმნილი, მუზეუმმა კერძო კოლექციონერისგან იჯარით იქირავა. ის 116 ათას დოლარადაა შეფასებული.



მუზეუმის დირექტორმა ევა კრაუზემ განაცხადა, რომ ზარალის ანაზღაურება მოხდება. მისი თქმით, გალერეას პოლიციის გამოძახება მხოლოდ იმისთვის დასჭირდა, რომ სადაზღვევო საბუთები გაეფორმებინა.

– ჩვენ ქალბატონს ვაცნობებთ, რომ კოლექციონერი მიყენებულ ზარალს იუმორით შეხვდა და მას შეუძლია, მშვიდად იყოს, – დაამატა კრაუზემ.

ქორწილში მიწვეული ძაღლი შოტლანდიურ ეროვნულ სამოსში გამოაწყვეს

სოციალურ ქსელ რედითში ერთ-ერთმა მომხმარებელმა თავისი ქორწილის ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელზეც აღბეჭდილია მისი ძაღლი, გამოწყობილი კილტსა და პერანგში მინი პეპელა-ჰალსტუხით. ფოტოს ავტორი შოტლანდიელია.

– ვქორწინდები და საკუთარ ქორწილი ამ ძაღლის გარეშე ვერ წარმომიდგენია, – გაუკეთა კომენტარი საკუთარი ძაღლის ფოტოს სოციალური ქსელის მომხმარებელმა. ორ დღეში ეს ფოტოსურათი 1,4 მილიონმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა.

ტრადიციულ შოტლანდიურ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ძაღლის ჯიში და სახელი უცნობია.

ქალმა ნიცაში ტერაქტის დროს სანაპიროზე იმშობიარა

ქალმა ნიცაში, ინგლისის სანაპიროს მახლობლად, ტერაქტის დროს ბავშვი გააჩინა. იმ მომენტში მის მახლობლად იმყოფებოდა 1,5 ათასამდე ადამიანი, რომლებიც ცდილობდნენ, თავი დაეღწიათ სატვირთო მანქანის ბორბლებისთვის, რომლებითაც ტერორისტი ხალხს ხოცავდა.

ახალგაზრდა ქალი ფეხმძიმობის მეცხრე თვეში იმყოფებოდა. გადატანილი შიშისა და ემოციისგან მას მშობიარობა დაეწყო. პლაჟის მახლობლად მდებარე რესტორნის თანამშრომლებმა მშობიარე სამზარეულოში გადაიყვანეს და შენობა უცხო პირებისგან გაათავისუფლეს.

დაწესებულების მმართველის შვილის თქმით, ადამიანები დამალვას მაცივრებშიც კი ცდილობდნენ. ექიმმა ქალი პირდაპირ იატაკზე ამშობიარა, გარკვეული დროის შემდეგ კი მაშველები მოვიდნენ და ქალი და მისი ახალშობილი ბავშვი წაიყვანეს.

შეგახსენებთ, რომ ნიცაში ტერაქტი 14 ივლისის ღამით იქნა განხორციელებული. ბასტილიის აღების დღესთან დაკავშირებით გამართული ზეიმის დროს ქალაქის ინგლისის სანაპიროზე ხალხის მასაში სატვირთო მანქანა შეიჭრა. მისი შეჩერება პოლიციელებმა მას შემდეგ შეძლეს, რაც მძღოლს ცეცხლი გაუხსნეს და ადგილზე მოკლეს. ამ ტერაქტს 84 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კულტურა

დავით ოქიტაშვილი დავით კინწურაშვილს გადადგომისკენ მოუწოდებს

დავით ოქიტაშვილი ოპერის თეატრის გუნდს მხარდაჭერას უცხადებს და დავით კინწურაშვილს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომისკენ მოუწოდებს.

დავით ოქიტაშვილი:

– როგორც ოპერის პირველმა პირმა, სიტუაციის ნორმალიზებისა და დაძაბულობის თავიდან აცილებისათვის, ეს ქმედითი ნაბიჯი უნდა გადადგათ და ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოთ.

არ გაიმეტოთ თავი და შთამომავლობა. როცა საკუთარი თანამშრომლები, მთელი დასი გიპირისპირდებათ და აცხადებს, რომ დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებთ, არცერთი თანამდებობა არ ღირს ამდენ ლანძღვად.

მარი ბროსეს ბიუსტი დედაენის ბაღში გაიხსნა



ცნობილი მეცნიერის მარი ბროსეს ბიუსტი დედაენის ბაღში გაიხსნა. წლების განმავლობაში მარი ბროსეს ბიუსტი თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში იყო განთავსებული.

სამაიას ბაღში, ელბაქიძის დაღმართზე დადგმული მარი ბროსეს ბიუსტი 2004 წელს მოიპარეს. რამდენიმე თვის წინ მარი ბროსეს ბიუსტის ადგილას ქართველი რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის ბიუსტი დადგეს და სკვერს გიგა ლორთქიფანიძის სახელი უწოდეს, მარი ბროსეს ბიუსტის აღდგენა კი ცნობილი ქართველი მოქანდაკის ჯუნა მიქატაძის მიერ შექმნილი ყალიბის გამოყენებით გახდა შესაძლებელი.

მარი ბროსეს ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიურ მეცნიერებას ევროპაში. მან შეისწავლა პარიზში დაცული ქართული ხელნაწერები, გამოაქვეყნა რამდენიმე ქართველოლოგიური ნაშრომი და ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო.

ანდრია გველესიანი „სლავიანსკი ბაზრის“ ფინალისტია

მსახიობი და მომღერალი ანდრია გველესიანი წელს საქართველოს სიმღერის საერთაშორისო კონკურს „სლავიანსკი ბაზარ 2016“-ზე წარადგენს.

ნახევარფინალურმა საკონკურსო დღეებმა ქართველი მომღერლისთვის წარმატებით ჩაიარა და ანდრია ფინალში გავიდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

18 ივლისისთვის

ვერძი – ბიუჯეტი ნელა, მაგრამ მაინც გიუმჯობესდებათ. საქმიან პარტნიორებთან კონტაქტი დღესვე დაამყარეთ, ხოლო შედეგი მხოლოდ თქვენს შრომისმოყვარეობაზე იქნება დამოკიდებული. ** კურო** – ბედი შანსს გაძლევთ, გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა. კეთილისმყოფელი დღეა. თქვენს ნიჭსა და უნარს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. **ტყუპები** – ჰარმონია, სიმშვიდე, მშვენიერი ფინანსური მდგომარეობა – ეს ყველაფერი თქვენს ოჯახში სუფევს. მნიშვნელოვან პრობლემას სულ იოლად მოაგვარებთ. **კირჩხიბი** – ახალი კონტაქტების დამყარების დღეა. ასევე გიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. გვარიან თანხას გამოიმუშავებთ, რომელიც აუცილებლად ჩადეთ ახალ საქმეში. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. გლობალურ მიზნებს ნუ დაისახავთ, ასევე, ნუ ეცდებით ახალი სამსახურის ძებნას. **ქალწული** – ახალი საქმის დაწყება არ ღირს. კარგი პერიოდია სასამართლო საქმეების მოსაგვარებლად. **სასწორი** – ენერგია გემატებათ. იზრდება თქვენი შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალიც. საღამოს, სავარაუდოდ, ნათესავებთან ურთიერთობა გაგირთულდებათ. **ღრიანკალი** – მძიმე დღეა. არ არის რეკომენდებული საქმიანი მოლაპარაკებები, საყიდლებზე წასვლა, საქმის გარჩევა. საღამოს ნურსად წახვალთ, გიჯობთ, დაისვენოთ ან სულაც დაიძინოთ. **შუბლდოსანი** – იუპიტერის მფარველობის მეოხებით ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. წარმატების მიღწევაში დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა დაგეხმარებათ. **თხის რქა** – ერთობ მძიმე დღეა. მამაკაცებისათვის ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. სიტუაციას ეჭვიანობა და უნდობლობა გაართულებს. **შერწყული** – ემოციურად დაძაბული ხართ. ინტუიციას ნუ მიენდობით. სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. **თევზები** – გაუცხოებული ხართ. შესაძლოა ახალი სამსახური შემოგთავაზონ. გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ნინო სურგულაძის პრემიერა ტრაგიკულ მოვლენებს დაემთხვა

მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცოსოპრანოს ნინო სურგულაძის პრემიერა ნიცასა და თურქეთში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს დაემთხვა. სან კარლოს ლეგენდარულ თეატრში ნინო სურგულაძემ „აიდას“ პრემიერა იმღერა, რაც მისთვის ყველაზე მძიმე აღმოჩნდა.

ნინო სურგულაძე:

– აიდა სან კარლოს ლეგენდარულ თეატრში. მძიმე პრემიერა ჩემთვის... ტრაგედიის მეორე დღეს. სპექტაკლის დაწყებამდე მაყურებელმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ნიცაში დაღუპულთა ხსოვნას.

პრემიერის მიმდინარეობისას, როგორც მერე სპექტაკლის დასრულებისას, ყველამ შევიტყვეთ, რომ თურქეთში განვითარდა ტრაგიკული მოვლენები.

ამნერისის ბოლო სიტყვები და ოპერის ბოლო სიტყვები, ფის, ფის, ფის – მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა, გულის სათქმელს ამბობდა და ამბობს.

მშვიდობას გისურვებთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სჯანვოხდი



1 ექსპრომტად თქმული ლექსი; 2. ქიმიური ელემენტი; 3. ფუტკრის „სახლი“; 4. რისკენაც მიისწრაფვიან; 5. ... არდანი; 6. სამხედრო წოდება ანუ...; 7. ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი; 8. რუსეთის საფეხბურთო გუნდი; 9. „ფორსაიტების ...“; 10. ნუშისებრი ჯირკვლის ანთება; 11. ნაბიჯი ცეკვაში; 12. ადამიანის თავსაკვეთი მანქანა (ძვ.); 13. დედამიშვილი; 14. სანელებელი; 15. ფრანგ მეფეთა ხშირი სახელი; 16. დაკოდილი ცხენი; 17. ტაბლეტი; 18. შალის მჭიდრო ქსოვილი; 19. კაცის სასიმღერო ხმა; 20. მსახური მართლმადიდებელ ეკლესიაში; 21. ზრდადაუსრულებელი დედალი; 22. მწუხარების, ტკივილის გამომხატველი შორისდებული; 23. ჭაობის მცენარე; 24. მახრჩობელა გველი; 25. საყანედ გაკაფული ტყე; 26. მოსწავლის მაგიდა სკამითურთ; 27. ფრანგი ინჟინერი და მეცნიერი (1785-1836); 28. პატარა ტანის კენგურუ; 29. ქალაქის თავი; 30. ერთ-ერთი ფერი; 31. ... კუინჯი; 32. ბგერის გრაფიკული ნიშანი; 33. მარცვლოვანთა ოჯახის ბალახი; 34. ფრე.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შოპენი; 2. „იდიოტი“; 3. მასტიფი; 4. „ლაუდერი“; 5. ჯორჯაძე; 7. ბურნაკუ; 11. რეიდი; 12. მართვე; 13. წახნაგი; 14. „გურიელი“; 15. ცეზურა; 17. დრაივი; 19. აბიო.

თარაზულად: 5. „ჯოკონდა“; 6. უკრაინა; 8. ტირე; 9. კირხე; 10. არქივი; 11. რიწა; 13. წურწუმია; 14. გრილი; 16. ადათი; 18. დანტე; 20. ლაზიერი; 21. რეგვენი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯიბუტი; 2. გიენოსი; 3. ქობულაძე; 4. ინჟინერი; 8. რინოსკოპი; 9. სენტენცია; 11. სკოტები; 12. სიტე; 14. ოსლო; 16. ესტაფეტა; 17. ნეისმიტი; 19. კამენა; 21. „გენკი“.

თარაზულად: 5. კოტირება; 6. კემერონი; 7. ინტერპოლი; 10. მარინა; 13. ვენერა; 15. სტატუსი; 18. ასკოტი; 20. ემისია; 22. სამეგრელო; 23. სტეტსონი; 24. ოკულისტი.

ნიკოლოზ წულუკიძე ავიაკატასტროფას გადაურჩა

თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე ავიაკატასტროფას გადაურჩა. ამსტერდამში დასასვენებლად წასული, მეუღლესთან ერთად 30 საათის განმავლობაში გადარჩენისთვის იბრძოდა.

ნიკოლოზ წულუკიძე:

– ბედნიერი დასვენების შემდეგ მე და თეკა ამსტერდამიდან საქართველოში ვბრუნდებოდით.

თურქეთში ჩაფრენამდე ერთი საათით ადრე მოვხვდით საშინელ ტურბულენტურ ზონაში, რის გამოც თვითმფრინავი მოწყდა და 17 მეტრი იფრინა დედამიწის მიმართულებით. სალონში ატყდა პანიკა, რამდენიმე ადამიანს წაუვიდა გული და ჩაცვივდნენ ურთულეს მდგომარეობაში.

რომ არა ატლასგლობალის საოცრად გამოცდილი პილოტი, ავიაკატასტროფა გარდაუვალი იყო. როგორც იქნა, დავმშვიდდით და გავაგრძელეთ ბედნიერი ცხოვრება...

ათათურქის აეროპორტში აფრენისას კი გამოგვიცხადეს, ქვეყანაში გადატრიალების მცდელობაა და ვერ გავფრინდებითო, ჩამოგვსვეს თვითმფრინავიდან და...

დაიწყო 30-საათიანი ბრძოლა გადარჩენისთვის.

აეროპორტში უკვე დაგვხვდნენ სამხედრო გადატრიალების მომხრეები იარაღით ერდოღანის დასაპატიმრებლად. ამასობაში ტერიტორიაზე შემოვიდა დაახლოებით 10.000 მოქალაქე პრემიერ ერდოღანის მომხრე და დაიწყო საშინელი დაძაბულობა.

ათათურქის აეროპორტში ყველა თანამშრომელი და დაცვის წარმომადგენელი ერთ წუთში გაქრა, სანგარში ჩავიდნენ და დავრჩით ასე სიკვდილის პირისპირ: სამი მძიმე ონკოლოგიური პაციენტით, 6 მცირეწლოვანი ბავშვითა და 70 ქართველით.

რამდენიმე წუთში ატყდა პანიკა და ხალხმა გაურკვეველი მიმართულებით დაიწყო სირბილი...

პ.ს. მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვნახე ერთმანეთზე ასე მზრუნველი ქართველები!!! ალბათ, უბედურებაა საჭირო, რომ გვიყვარდეს და ვუფრთხილდებოდეთ ერთმანეთს...

ნიკოლოზ ჩოხელის დასახმარებლად საქველმოქმედო საღამო გაიმართა

მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის შვილის ნიკოლოზ ჩოხელის დასახმარებლად საქველმოქმედო საღამო გაიმართა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სპეციალური აუქციონი მოეწყო, რომელშიც სხვადასხვა კომპანიებმა და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა სახეებმა საკუთარი ნივთები უსასყიდლოდ გაიღეს და აუქციონზე გაყიდეს. აუქციონის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, შეგროვილი თანხა მთლიანად ნიკოლოზ ჩოხელის მკურნალობას მოხმარდება.

28 წლის ახალგაზრდას რამდენიმე თვის წინ ავტომანქანა დაეჯახა და ხევში გადააგდო. ის საწოლს არის მიჯაჭვული და ფეხზე გასავლელად საზღვარგარეთ მკურნალობა ესაჭიროება, რაც სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული, ოჯახს კი ამ თანხის გადახდის საშუალება არ აქვს.

ნიკოლოზ ჩოხელის დასახმარებლად საქველმოქმედო საღამოები ჩატარდა რუსთავის თეატრსა და თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ნიკოლოზ ჩოხელის დასახმარებლად ჩართულია სპეციალური ნომერი 0 901 901 940. მასზე დარეკვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ზარის ღირებულებაა 1 ლარი, ქართუ ბანკში კი გახსნილია ანგარიში როგორც ლარში, ასევე დოლარსა და ევროში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ნუგზარ დავლიანიძის გახსენება



ორმოცი დღე სრულდება მას შემდეგ, რაც შენი ლამაზი სული უხმაუროდ შეუდგა ზეციური საქართველოს მარადიული სასუფევლის აღმართს. ნათქვამია, კარგი კაცობა მუდამ ფრთიანია, იგი ყველასთან სწრაფად მიდისო – თვალთმაქცობისა და ღალატისაგან ღრმად დისტანცირებულს, კოლორიტთა ჯგუფის ნათელ წარმომადგენელს, გამოჭრილი თარგივით გერგებოდა ეს ხატოვანი ფრაზა. ნატურალური ღიმილისა და სითბო-სიყვარულის გამოვლენის ფონზე შენს მიხვრა-მოხვრასა და ე.წ. პახოდკაში იკითხებოდა შენი შინაგანი სამყაროს, მოყვასისა და გულწრფელობისთვის დამახასიათებელი სამკაულები, ხელის გაწვდის დაუოკებელი წყურვილით კი ხომ მუდმივად „კვებავდი“ ყოფითი ცხოვრების მაგისტრალებს.

ჭარბად მიღებული სულიერი ტრავმების მიუხედავად, შენი უშუალო გარემოცვის ყველა-ყველა წევრისადმი სულგრძელობისა და ურთიერთპატივისცემის ნიმუშებს მიმოაფრქვევდი. ოჯახისათვის ფინადაზად დაგებული, ზნეკეთილობის ატმოსფეროს ქმნიდი. ამიტომაც წარჩინებულად ატარებდი თბილი და მზრუნველი მეუღლის, მომთხოვნი, ყურადღებიანი მამისა და განსაკუთრებული აღმატებით უბადლო ბაბუის ტიტულს. მათი ცრემლი ხომ ცვრის ნამია სიყვარულისა და მადლიერების.

განვლილი ცხოვრების წესით დგებოდა ჟამი გადასახედისა შენ მიერ ნაკეთებ საშურ საქმეებზე, რომელიც ერთობ მომხიბვლელი პალიტრის ასოციაციას იწვევდა. აღიარებული პროფესიონალი, კოლეგებში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდი. მოკრძალებული, თავმდაბალი ადამიანის თვისებები შენი პიროვნების სავიზიტო ბარათი იყო. შედეგად საზოგადოების კუმირი – „ლიუბიმჩიკი“ იყავი.

ყველა უბნის სასურველი სტუმარი – შენი „ხელწერით“ ამშვენებდი თბილისს.

ამქვეყნად კეთილშობილების მრავალი მწვერვალი გაქვს დალაშქრული. 18 ივლისს კი შენ ზეციური საქართველოს ბინადარი ხდები. გვჯერა, ამქვეყნად „სიკეთის ხურჯინის“ შემოქმედი, ამჯერადაც შენი წილი მზის სხივითა და მთვარის შუქით კვლავ გაგვათბობ და გზას გაგვინათებ იმ ოაზისში, სადაც კაცთმოყვარეობის საოცარ ჩუქურთმებს ძერწავდი და ამით სილაღისა და გულითადობის მაჟორულ აკორდებს გვაზიარებდი, სულიერად გვამდიდრებდი მაგალითებით – „დობრათ“. ამიერიდან ეს ყოველივე ჩვენი ცხოვრების ულევი საგზალი გახლავთ.

ქალაქელობა მძიმე ტვირთია, მისი ტარება კი რჩეულთა ხვედრი და შენ, მადლიანმა და ერთგულმა, კაცმა – მაღალი სინჯით მისი პასუხისმგებლობის მუხტი განსაკუთრებული ნათებით თავაწეულმა ატარე ამ წუთისოფელში. ვაგლახ, რომ ამა წლის 9 ივნისს მოყვარე-მოკეთის ამ ლამპარმა გამოსხივება შეწყვიტა. შენთან ურთიერთობისას სრულ კომფორტს მიჩვეულებმა, შევნიშნეთ, რომ ჩვენი მეგობრობის უტყუარ წამმზომს ნახევარ საუკუნეზე მეტი აღუნუსხავს, ამჟამად კი „გონების თვალით“ მოგონებების განზომილებაში გადავდივართ. მწარე-მწარე რეალობა. გვტკივა უშენობა.

ჩვენი გულუხვობისა და სიტყვაგაუტეხლობის სიმბოლოვ, აქვე დავძენთ:

კაცი, რომელიც დააკლდი ქალაქს. „აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა“.

ვერელები, „ფიქრის გორა“

ზურაბ დოლიძის გახსენება

ამა წლის 18 ივლისს წელიწადი სრულდება, რაც უფროსი თაობის ზუგდიდელთა რიგებს სამუდამოდ გამოაკლდა ღვაწლმოსილი მამულიშვილი ზურაბ შოთას ძე დოლიძე.

76 წლის ასაკში, ჯერ კიდევ მხნედ მყოფი, უეცრად აღესრულა მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა; ახლობელ-მეგობართა და ყველა თანამოქალაქის მოჭირნახულე კაცი; ვისაც კი ის სჭირდებოდა, ყველა მოყვასად მიაჩნდა. ისე მიიცვალა, რომ შესახედავად აღნაგს, თავის ლამაზ სახეზეც ხანდაზმულობისა არაფერი ეტყობოდა. ზურაბის ბავშვობას სულიერად, გარდა მშობლებისა, მისი პირველსაცხოვრისის ზნეობრივი გარემოც ასაზრდოებდა. ქალაქის ცენტრალურ უბანში დოლიძეების მეზობლად სახლობდნენ და ზურაბთან დამრიგებლურად ურთიერთობდნენ ცხოვრების წესით მისაბაძი კოლორიტი ადამიანები – მშობლიური ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის დირექტორი გიგლა ჯვებენავა, ქართული ოქრომჭედლობის კორიფედ აღიარებული ფილუ ძაძამიძე, მისი ვაჟიშვილი, შემდგომ თბილისში მოღვაწე ექიმი ჯონი ძაძამიძე, გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ცხადაიების, შამუგიების, დავითაიების... წიგნიერი კეთილმეზობლური ოჯახები. სახლიდან ასიოდ ნაბიჯზე მდებარე მოსწავლეთა სასახლეში ზურაბი ადრეულ ასაკში ოსტატობის კანდიდატის დონეზე ჭადრაკს დაეუფლა, იყო ქალაქის ჩემპიონი, თითქმის მუდმივად პირველობდა ბლიცტურნირებში.

თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის („გპი“) ენერგეტიკოსის სპეციალობის დამთავრების შემდეგ ზურაბ დოლიძე მუშაობას იწყებს „სოფლტექნიკის“ ზუგდიდის სარაიონთაშორისო გაერთიანებაში ახალი ტექნიკის ინჟინრად, სადაც ტექნიკის ექსპლუატაციის საკითხებში ეკონომიკური ეფექტის მქონე მრავალი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება დანერგა. მალე გადაჰყავთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე... ზურაბმა დიდხანს იმუშავა რაიონისა და ქალაქის საერთო და მრეწველობა-ტრანსპორტის განყოფილებათა გამგედ, სადაც მისმა ნიჭმა და შრომამ დარგების ინფრასტრუქტურის განვითარებას შესაამჩნევი კვალი დაატყო. მუშაობა მოუხდა ასევე რთულ უბანში – მრეწველობის ერთ-ერთი ფლაგმანის, ადგილობრივი მრეწველობის გენდირექტორად; აქაც მის ხელში საწარმოების გამოშვებულმა პროდუქციის ასორტიმენტმა და მოცულობამ სამშენებლო მასალების გარკვეულ ნომენკლატურაზე არსებული დეფიციტი მნიშვნელოვნად შეამცირა. საბჭოური სტრუქტურების რღვევისას, როცა ჩაის მრეწველობასაც გაუჭირდა, ზურაბი მისმა კოლეგამ – ნაცადმა ორგანიზატორმა, ბატონმა გივი სოსელიამ მწვანე და შავი ჩაის გადამამუშავებელ ფაბრიკებში მენეჯერად მიიწვია. ზურაბის შრომა დაფასდა, არჩეული იყო დეპუტატად, დაიმსახურა სახელმწიფო ჯილდოები.

ზურაბთან გამოთხოვების დღეს თანატოლი ხანდაზმული, უკვე თითზე ჩამოსათვლელი მეგობრები მას იხსენებდნენ დიდი მადლიერებით, ჭირსა თუ ლხინში უანგაროდ თანამდგომს; მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკოსის კვალიფიკაცია ჰქონდა, სხვა სპეციალობების დაუფლებასაც ეშურებოდა. მეგობარი ტარიელ ჯღარკავა მერამდენედ ყვებოდა – მეორე სპეციალობის მისაღებად შუახანს მიტანებულმა, ზურაბთან ერთად, მისი დაჟინებით, თუ რა დიდი ძალისხმევით ჩააბარეს გამოცდები მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ განყოფილებაზე და შემდეგ ეს „ბებრები“ როგორი ენთუზიაზმით აქტიურობდნენ ლექციებზე ბავშვების გვერდიგვერდ. ზურაბისგან კოლეგებისადმი სიკეთის „დაძალების“ ფაქტები გაიხსენა სიყრმის მეგობარმა ჟორა თოდუამაც... და მსგავსი სიკეთის მიმღები ადრესატი მეც ვიყავი. მას ბევრი გამოაკლდა, რამაც ბევრი მძიმე წუთიც განაცდევინა... ზურაბ, იქ, ალბათ, აგრძელებ შეწყვეტილ მეგობრობას უკეთილშობილეს ადამიანებთან – ვანო ცხადაიასთან, ვათა დავითაიასთან, საშა გოგიასთან; ოთარ ჭანიასთან, მურმან დარასელიასთან, ინალი მესხთან; ძველ მეგობრებთან ზურაბ ბულიასთან, გურამ ლოგუასთან, კუკური სორდიასთან; დაბოლოს, საერთო მეგობრებს – ომარ ბუკიას, ჯუმბერ ბენდელიანს, რობერტ ბაღიშვილს გავიხსენებ. შენ ხომ ისინი ცოტა ხნით ადრე, სანამ ამ ქვეყანას გამოეთხოვებოდი, თბილისში პირიქითა სოფლის კარამდე გულდამძიმებულმა მიაცილე!

მწუხარებაშია ზურაბის მაღალზნეობრივი ოჯახი – ზურაბის ღირსეული მეუღლე, ოთხი შვილის აღმზრდელი დედა – ქალბატონი მადონა, მათი ქალიშვილები, შვილიშვილები, ვაჟიშვილი შოთა-შოთიკო, რომელიც ომიდან შინმოუსვლელი ბაბუის სახელს ატარებს.

იძინე ტკბილად, ქვეყნისა და ოჯახის წინაშე ვალმოხდილო, ზეციურ სასუფეველში, რომელიც შენ უხინჯო პარტიულ-სამეურნეო მოღვაწეობასთან ერთად, ღვთის მორწმუნეობითაც დაიმკვიდრე. იქ მარტოც არა ხარ; დედა, რომელმაც ცალუღელშებმულად გამოგზარდა, მოგეფერება, ბავშვობაში დაგაბრუნებს.

ზურაბ, შენზე ადრე წასულები ვახსენე (სამწუხაროდ, ბევრი – ვერა), რამეთუ შენ მათ ხსოვნას გულით ატარებდი და მოგონებებით დახარჯულხარ. როგორი ძმური გაგებით თანამიგრძნობდი ზუგდიდის ცნობილი ცოდვიანი ნაცპროკურორის მიერ ჩემი ქველმოქმედი მძახლის, ნაპო გაბისონიას ბიზნესის განადგურებისა და ციხეში გამომწყვდევის გამო, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა. ახლაც მადლობას გითვლი მაშინდელი ადამიანური განცდებისათვის, მართალი კაცის ქომაგო, მართალო კაცო! ხსოვნა შენი დავიწყებას არ მიეცემა. როცა ამქვეყნად შენი თაობელთა სიცოცხლის გზით დასასრული, სამწუხაროდ, მოახლოებულია და არავინ ვიქნებით, უეჭველია, შენს საფლავთან შენი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები ივლიან და გრძნობით ჩაგძახებენ (სურვილი მიჩნდება, მათ წინასწარ შევთავაზო ზაურ ბოლქვაძის გულშიჩამწვდომი სტროფის პერიფრაზი):

გადაუარა დრო-ჟამმა საფლავს, სიცოცხლის წერტილს,
შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ! ჩვენ აღარა ვართ შენთვის!
ღმერთმა ნათელში გამყოფოს!

ჩემს ოჯახთან ერთად, გაუნელებელი ტკივილით, ზაურ კოდუა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი
18 ივლისი

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები"

08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.10 "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩინტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" **15.00** დ/ფ "თოფ – გიარი" **16.45**"ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარინის საიდუმლოება**" **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** ტ/სერ. "**ბეიოსეების ოიტელი**" **22.30** "ოლიმპიური დღიური" **23.00** მხ/ფ "**მარიამი – შოტლანდიელთა დედოფალი**" (ტ.დალტონი) **01.20** მხ/ფ "**დანტეს პიკი**" (ვ. ბროსნანი)

08.00 დ/ფ "ნამდვილი პანამა" **09.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **10.00** დ/ფ "ამფორების გზა" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი პარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ "**ყოვლის ჭეშმარეტ ევანი**" (ს.არელი) **16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **16.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **17.30** "გაგარელი საქართველოს ისტორია" **18.30** ტ/სერ. "**სიცრუე**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** "ქართ. დოკუმენტალისტიკა" **22.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **00.30** მხ/ფ "**დრაკონის გული**" **02.15** მხ/ფ "**გულის მოგზაურობა**"

05.00, 14.40 სერ. "**დახურული სკოლა**" **06.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**ჟუმონგბი**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პაპარაძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** იუმორინა **00.00** მხ/ფ "**რეფი**" **02.00** მხ/ფ "**შვიდი ფსიქოპათი**" **03.45** მხ/ფ "**ჩემი ძმაკაცის შეყვარებული**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საბა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** ქ. მხ/ფ. "**ცხრა მთას იქით**" **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" - **მეამბოხეები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 2.10** სერ. "**ბრეის ანატომია**" **13.00, 3.30** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.00** სერ. "**საუნელი ზღაპრები**" **0.30** მხ/ფ "**ვირთხები**"

06.10 მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ჭრიჭინა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპენიუმი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.45** დ/ფ "ჩვენი ფეხბურთი" **16.15** სპექტაკლი "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ჩვენი ეზო**" **20.40** ძილი ნებისა "ტყის კვარტეტი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი-ტყუილზე დაფიცების შესახებ **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-წინასწარმეტყველი იონა **1** ნაწ. **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმა-მეხუთე ნეტარება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დიდ ხარ შენ უფალო-პავლეს მოქცევის შემდგომი პერიოდი **00.25** "ტალანტები და თაყვანისმცემლები"-ომარ მხეიძე **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ფესტივალიცია) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უპანასკნელი მაგიციანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ქალბატონი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**სტანისა**" **23.30** სერ. "**ფრიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 ივლისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — **2.3407**

ევრო — **2.6075**

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — **3.1255**

100 რუსული რუბლი — **3.7049**

ამინდის პროგნოზი 18 ივლისისთვის



15 ივლისიდან

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

სამხედრო მფრინავი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

19 ივლისიდან

ჰენრიხ სენკევიჩი

ჯვაროსნები

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იუმორი

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, სად იყავი?

– დავრბოდი.

– კი მაგრამ, მაისური რატომ გაქვს სისხლიანი და სახე – დალურჯებული?

– დამეწივნენ.

•••

სახლში მისულ ქმარს ცოლი ეუბნება:

– გახსოვს, ორი კვირით კურდღლებზე სანადიროდ რომ იყავი წასული?

– ჰო, მახსოვს, მერე?

– ჰოდა, დღეს იმ კურდღელმა დარეკა, ბაჭია გასჩენია და თავისთან გიბარებს...

•••

ცოლი ქმარს ეხვეწება:

– ყურები გამიხვრიტე, რა...

– შე შობელძაღლო, რაც ჩემი გასახვრეტი იყო, სხვას გაახვრეტინე და მე ყურებს მახვრეტინებ?!!!

•••

ქმარმა დაამთქნარა და ამ დროს ცოლი ეუბნება:

– პირი მაინც ღია გაქვს და მიდი, ბარემ ჩვენს ბიჭს გადასძახე, პური წამოიღოს...

•••

კაცს მათხოვარი ეხვეწება:

– დამეხმარე, ბიძია, რაა...

– რით დაგეხმარო, ბიძიკო? ჩაის რომ ვსვამ, წინ კარაქის სურათი მიდევს და შაქარზე ვფიქრობ.

•••

სოფლელს დახვდნენ და მაგრად სცემეს, საავადმყოფოში თავზე ოპერაცია გაუკეთეს, შვიდი ნაკერი დაადეს და ბოლოს ექიმი ეუბნება:

– ნემსის, ბინტის, წამლის ფული და კიდევ 50 ლარი გაქვთ გადასახდელი.

კაცი მოკვდა სიცილით და უპასუხა:

– ბიძიკო, 5 ლარი რომ არ მქონდა, იმიზა მცემეს და თავი გამიხეთქეს, ახლა შენ უნდა გამაფრთხობიო სული?

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– წამოდი ყანაში, სათოხარზე მომეხმარე.

– რას გეტყვი, იცი? ყანაში თოხნა კი არა, აგერ მამაჩემს საფლავიდან „ბათინკები“ მოუჩანს და იმაზე მეზარება მიწის მიყრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

14 ივლისიდან

პაულო კოელიო თერთმეტი წუთი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

22 ივლისიდან

ჰენრიხ სენკევიჩი

ჯვაროსნები

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

მაიკლ ჯექსონის ექიმის თქმით, მომღერალს 11 წლის ემი უოტსონზე სურდა დაქორწინება

მაიკლ ჯექსონი მსახიობ ემი უოტსონით იყო გატაცებული, როდესაც ის ჯერ კიდევ 11 წლის იყო. ის ასევე შეყვარებული იყო თავისი ახლო მეგობრის, ბრიტანელი მსახიობის მარკ ლესტერის ხუთი წლის გოგონაზე. ამ ინფორმაციას ავრცელებს ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა. მასში საუბარია მომღერლის მკურნალი ექიმის კონრად მიურეის ახალ წიგნზე „სულ ეს არის“, რომელიც 19 ივლისს დაიბეჭდება.

– მაიკლს გარიეტი (ლესტერი) შეუყვარდა, როდესაც ის დაახლოებით ხუთი წლის იყო. როდესაც გოგონა 12 წლის გახდა, ის მისთვის იდეაფიქსად იქცა, – ამტკიცებს თავის წიგნში მიურეი.

ყოფილი ექიმის თქმით, ჯექსონს სურდა, თავის მეგობართან ემსჯელა მის ქალიშვილზე შესაძლო დაქორწინების თაობაზე, მაგრამ ამის კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდა მიურეი და ურჩია, საგულდაგულოდ გასცნობოდა დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის კანონმდებლობას, რომელიც არასრულწლოვანთან ქორწინებას შეეხებოდა.

გარდა ამისა, როგორც მიურეი ამტკიცებს, პოპმუსიკის მეფე შეყვარებული იყო ემი უოტსონზე. პირველად ჯექსონმა ის გერმოინის როლში იხილა ფილმში ჰარი პოტერზე. მაშინ ემი 11 წლის იყო. ყოფილი ექიმის თქმით, მომღერალი გოგონაზე დაქორწინებას გეგმავდა, თუ ლესტერთან მისი ქორწილი ჩაიშლებოდა.

1993 წელს მაიკლ ჯექსონის წინააღმდეგ აღძრული იყო საქმე 13 წლის ჯორდან ჩენდლერის შეცდენის საქმეზე, თუმცა ჩენდლერების ოჯახთან მშვიდობიანი შეთანხმების შემდეგ მოსარჩელე მხარემ საკუთარი სარჩელი უკან გამოითხოვა და საქმე დაიხურა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯექსონმა დაზარალებულ მხარეს კომპენსაციის სახით 20 მილიონი დოლარი გადაუხადა. ბავშვის მამა ევან ჩანდლერმა, რომელმაც ჯექსონს პედოფილია დასდო ბრალად, 2009 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

2004 წელს მომღერლის წინააღმდეგ პედოფილიის ახალი ბრალდება იქნა წარდგენილი, მაგრამ 2005 წელს ეს საქმეც დაიხურა ნაფიც მსაჯულთა დასკვნის გამოცხადების შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ მაიკლ ჯექსონი 2009 წლის ივნისში გარდაიცვალა. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, გარდაცვალების მიზეზი მწვავე ინტოქსიკაცია გახდა, რომელიც ძლიერმოქმედი წამლის დოზის გადამეტებით იყო გამოწვეული. სამართალდამცავებმა ჯექსონის სიკვდილი მკვლელობად ჩათვალეს. 2011 წელს სასამართლომ მომღერლის მკურნალი ექიმი კონრად მიურეი გულგრილობაში დაადანაშაულა, რამაც მომღერლის გარდაცვალება გამოიწვია და მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მიურეი 2013 წლის ოქტომბერში პატიმრობიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს ციხეში კარგი ქცევისთვის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პაკისტანელი კარდაშიანი ძმამ გაგუდა



პაკისტანელი მოდელი კანდილ ბალოჩი საკუთარ ბინაში, პენჯაბის პროვინციაში, მკვდარი იპოვეს. გოგონა მისმა საკუთარმა ძმამ ვასიმმა დაახრჩო. პოლიცია დარწმუნებულია, რომ 26 წლის გოგონა ღირსების მკვლელობის მსხვერპლად იქცა, ვინაიდან ის ინტერნეტში აქვეყნებდა ფოტოსურათებს, რომლებიც, ადგილობრივი შეხედულებების თანახმად, ეროტიკულად ითვლება.

ბალოჩის მშობლებმა აღნიშნეს, რომ, კანდილმა და ვასიმმა წინა საღამოს სერიოზულად იჩხუბეს, მაგრამ მისი ცხედარი მხოლოდ მეორე დილით აღმოაჩინეს. გოგონას მშობლები მომხდარის გარემოებების გარკვევამდე დაკავებულები იქნებიან.

თავად ვასიმმა მიმალვა მოახერხა და პოლიციას მასზე ძებნა აქვს გამოცხადებული.

აღსანიშნავია, რომ ბალოჩსა და მის ოჯახს მუდმივი მუქარის გამო პენჯაბში კარაჩიდან მოუხდათ გადაბარგება. გოგონა სამართალდამცავ ორგანოებს დაცვას სთხოვდა, მაგრამ მათგან უარი მიიღო.

ბალოჩს ამერიკელ ტელეწამყვან კიმ კარდაშიანს ადარებდნენ მას შემდეგ, რაც 2014 წელს პაკისტანელმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც მან ტუჩები დაიბერა და კითხულობდა: „როგორ გამოვიყურები?“. ეს ვიდეორგოლი პოპულარული გახდა, ქვეყნის ბევრმა მცხოვრებმა მხარდაჭერა გამოხატა გოგონას მიმართ. მას სტილის სახედ მიიჩნევდნენ და მის თამამ შეხედულებებს მიესალმებოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მოწინააღმდეგე უფრო მეტი აღმოჩნდა. ღირსების მკვლელობა არის დანაშაული, რომელსაც იმ გოგონას ნათესავები ჩადიან, რომელმაც საკუთარი ოჯახი შეარცხვინა. ამგვარი შემთხვევები იშვიათობას არ წარმოადგენს პაკისტანსა და სხვა მუსლიმანურ სახელმწიფოებში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პლასტიკურმა ქირურგებმა ემბერ ჰერდი ყველაზე ლამაზ სახედ აღიარეს

ლონდონის პლასტიკური ქირურგიის ცენტრის მედიკოსებმა ამერიკელი მსახიობის ემბერ ჰერდის სახე მსოფლიოში ყველაზე ლამაზად აღიარეს. მკვლევრები კომპიუტერული კარტოგრაფიის მეთოდიკას დაეყრდნენ.



– ჩვენ კომპიუტერული კარტოგრაფიის უახლესი მეთოდიკა შევიმუშავეთ, რომელიც გვიჩვენებს იმ ცვლილებებს, რომელიც აუცილებელია გარეგნობისთვის, რათა სახის ნაკვთები უფრო პროპორციული გამოვიდეს, – განაცხადა სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელმა ექიმმა ჯულიან დე სილვამ.

აღსანიშნავია, რომ ამ ტექნოლოგიის დახმარებით გაირკვა, რომ 30 წლის ჰერდის სახე 91,85 პროცენტით შეესაბამება იმ პროპორციებს, რომელიც, ოქროს გადამკვეთი ხაზების ფორმულის თანახმად, იდეალურად მიიჩნევა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ პლასტიკურმა ქირურგებმა იდეალურად ჩათვალეს სხვა ვარსკვლავების სახის ნაკვთები. მათ შორის მოხვდა კიმ კარდაშიანის წარბები, სკარლეტ იოჰანსონის თვალები, რიანას სახის ფორმა, მანეკენ ემილი რატაკოვსკის ტუჩები და სუპერმოდელ კეიტ მოსის შუბლი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. შტატი აშშ-ში; 7. მოტივი; 8. ჰავა; 9. მაგარნაჭუჭიანი ხის ნაყოფი; 13. ნივთიერების რაოდენობა სხეულში; 14. პანამის ფულის ერთეული; 18. ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 19. ბანქო; 21. სითხის საზომი ერთეული; 22. პატიმრის საკანი; 23. ძლიერი რადიაქტიური მინერალი; 24. მრავალწახნაგა ფორმის მყარი სხეული.

შვეულად: 1. ჩიტის დასაჭერი მახე; 2. ლანდი; 3. ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი; 4. დიდი წვეულება; 5. ჭკუასუსტობა; 10. არამტკიცე, მერყევი; 11. ფრანგ რევოლუციონერთა სიმღერა; 12. ქიმიური ელემენტი; 15. სისხლის სამართლის დანაშაული; 16. მუსიკალური გამის მეხუთე საფეხური; 17. რელიეფური საბეჭდი ფორმა; 20. ირანის მზის, სინათლის ღმერთი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ